

112-ის სისტემაში ჩართული კლინიკების სატელეფონო კონსულტაციების გარე კონტროლის ანგარიში

მიზანი:

112-ის სისტემაში ჩართული კლინიკების ოჯახის ექიმის სატელეფონო კონსულტაციის ხარისხის შეფასება.

ამოცანები:

- ტესტირებისთვის შემუშავებული ინსტრუმენტების ეფექტურობის შეფასება;
- პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალების (ე.წ. GP რეიტერების) მომზადება სატელეფონო კონსულტაციების ობიექტური შეფასების მიზნით;
- სატელეფონო კონსულტაციების ხარისხის გაუმჯობესების განსაზღვრა, შეთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით;
- რეკომენდაციების შემუშავება, შეფასების პროცესების გაუმჯობესების მიზნით;
- შეფასების საფუძველზე მიღებული შედეგების გაზიარება, ტესტირებაში მონაწილე დაწესებულებებისათვის;
- რეკომენდაციების მომზადება ჯანდაცვის სამინისტროსთვის.

მეთოდის აღწერა

სატელეფონო კონსულტაციების ხარისხის შეფასების მიზნით, გამოყენებულ იქნა ორი მეთოდი:

(1) მისტიკური პაციენტი;

(2) პაციენტის კმაყოფილების კითხვარი.

მისტიკური პაციენტისთვის დაიწერა ხუთი განსხვავებული სცენარი, რომელთა ტესტირებაც წინასწარ განხორციელდა ოჯახის ექიმ-ტრენერების მონაწილეობით. კერძოდ, დოკუმენტირდა ყველა ის შეკითხვა, რომელიც ექიმებმა დაუსვეს პაციენტს და შესაბამისად, მოხდა პაციენტის განსწავლა ამ შეკითხვებზე, სტანდარტული პასუხების გასაცემად (დანართი #1).

ექიმის სატელეფონო კონსულტაციის ხარისხის შეფასების მიზნით შემუშავდა შეფასების ფურცელი (ე.წ. ჩეკ-ლისტი), რომელიც მოიცავს 9 ძირითად სფეროს და 25 შესაბამის კრიტერიუმს/შეკითხვას (დანართი #2). მაქსიმალური ქულაა 75. ყველა სატელეფონო კონსულტაციაზე შექმნილია აუდიოჩანაწერი, რაც აუმჯობესებდა შეფასების ხარისხს.

აღნიშნული ფორმით კონსულტაციის შეფასება განხორციელდა 10 დამოუკიდებელი, მომზადებული ექსპერტის მიერ, რომლებიც თითოეულ კრიტერიუმს აფასებდნენ 3 სხვადასხვა ქულით: ცუდი - 1, ადეკვატური - 2, ძალიან კარგი - 3. ამ ექსპერტების შემდეგ ე.წ. წყვილში შეფასება გადამოწმდა ექსპერტ-ტრენერის მიერ, მაქსიმალურად ობიექტური მონაცემების მიღების მიზნით.

აღნიშნული შეფასებების საფუძველზე, წარმოებული კონსულტაციის ხარისხი განისაზღვრა შემდეგნაირად:

მიუღებელი	მისაღები	კარგი	ძალიან კარგი
<35 ქულა	35-52 ქულა	53-64 ქულა	>64 ქულა

შეფასდა, ასევე, ოჯახის ექიმის რეაგირების დრო და ჩატარებული კონსულტაციის ხანგრძლივობა.

კონსულტაციის შეფასების ფორმის პარალელურად, სატელეფონო კონსულტაციის ხარისხის შეფასება განხორციელდა პაციენტის გამოკითხვის საფუძველზე. ამ მიზნით გამოვიყენეთ სპეციალურად შემუშავებული პაციენტის კითხვარი, რომელიც მოიცავს 8 კითხვას - სამი სავარაუდო პასუხით: „დიახ“, „არა“, „არ ვარ დარწმუნებული“, თითოეულ პასუხს მიენიჭა 2, 0 და 1 ქულა შესაბამისად. პაციენტის კმაყოფილების შეფასების კითხვარი წარმოდგენილია დანართი #3-ის სახით.

მიღებული ქულების შესაბამისად პაციენტის კმაყოფილების დახარისხება მოხდა შემდეგნაირად:

ძალიან კმაყოფილი	კმაყოფილი	ადეკვატური	მისაღები	მიუღებელი
16 ქულა	14-15 ქულა	12-13 ქულა	10-11 ქულა	<10 ქულა

პროცედურა

ტესტირება განხორციელდა 2020 წლის 2-11 მაისის პერიოდში, საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფეიონალთა კავშირის მიერ შემუშავებული ინსტრუმენტის გამოყენებით.

სიმულირებული პაციენტების ტრენინგი განხორციელდა წინასწარ, მითითებული სცენარების მიხედვით (დანართი #1), სცენარების შემუშავებას საფუძვლად დაედო რეალური შემთხვევები.

სატელეფონო კონსულტაციების შემფასებლების (ე.წ. „GP Rater“- ების მომზადება)

სატელეფონო კონსულტაციების ხარისხის ობიექტური შეფასების მიზნით განხორციელდა შემფასებლების ტრენინგი, რომლის მიზანიც იყო ერთიანი სტანდარტული დონის მიღწევა. საოჯახო მედიცინის ცენტრის 10 ოჯახის ექიმს ჩაუტარდა შესაბამისი ტრენინგი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით, ტრენინგის დროს გამოყენებული იყო, ასევე, ექიმების მიერ საკუთარი სატელეფონო კონსულტაციების ჩაწერა და შეფასება, კონსულტაციის შეფასების აღნიშნული ინსტრუმენტის მეშვეობით.

ონლაინ კლინიკების სატელეფონო კონსულტაციების ხარისხის შეფასება განხორციელდა 10 გადამზადებული შემფასებლის (ე.წ. „Junior GP rater“-ების) მიერ, რომელთა მიერ მინიჭებულ ქულებს შემდეგ გადახედა ორმა დამოუკიდებელმა ექსპერტ-შემფასებელმა (ე.წ. „Senior GP Rater“-მა). გადახედვის შედეგად გამოვლინდა, რომ „Senior GP Rater“-ების შეფასება მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა „Junior GP rater“-ების მიერ განხორციელებული შეფასებისგან, რაც შეფასების ინსტრუმენტის ვალიდურობასა და „GP Rater“-ების ობიექტურობაზე მეტყველებს.

ეთიკური საკითხები

სატელეფონო კონსულტაციების გარე კონტროლის ეფექტური წარმართვისთვის, მნიშვნელოვანია, გარკვეული ეთიკური საკითხების გათვალისწინება.

112-ის სერვისში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების პერსონალი წინასწარ გაფრთხილებული იყო სატელეფონო კონსულტაციების გარე კონტროლის განხორციელების შესახებ, თუმცა, თავად 112-ის სამსახური საქმის კურსში არ ჩაგვიყენებია, რამაც შეგვიქმნა გარკვეული უხერხულობა. მაგ.: სატელეფონო ნომრის გამეორების გამო, სამუშაო პროცესში 112-ის ოპერატორმა ორჯერ დააფიქსირა ერთიდაიგივე ნომერი და პაციენტს შეეკითხა განმეორებით დაკავშირების მიზეზი. ასევე, 112-ის ერთერთ ხელმძღვანელს მიმართა მცხეთის პირველადი ჯანდაცვის ცენტრის და მედისონ ჰოლდინგის ექიმებმა იმასთან დაკავშირებით, რომ ვეღარ უკავშირდებოდნენ პაციენტს (ერთხელ გამოყენებული ნომრები გამოყენების ამოვიღეთ აპარატიდან). 112-ის მენეჯმენტის წარმომადგენელი, ჩავაყენეთ საქმის კურსში, მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, რომელმაც ადგილზე დაარეგულირა ეს საკითხი. რა თქმა უნდა, განსახილველია საკითხი 112-ის ოპერატორების ინფორმირების აუცილებლობაზე.

ასევე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, საბოლოო ჯამში ვის უნდა გადაეცეს სატელეფონო ჩანაწერები და საჭიროა თუ არა, ჯანდაცვის სამინისტროსა და 112-ის სამსახურთან ოფიციალური შეთანხმება სატელეფონო კონსულტაციების გარე კონტროლის საკითხებთან დაკავშირებით.

შერჩეული დაწესებულებები

ტესტირება ჩატარდა 112-ის სისტემაში ჩართულ, ყველა ონლაინ კლინიკაში, სულ, 16 დაწესებულება. მ.შ. თბილისში:

1. შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“;
2. შპს „Krol Medical Corporation“;
3. სს"ევექსის კლინიკები“;
4. შპს „მედისონ ჰოლდინგი“;
5. შპს „ულტრამედი“;
6. შპს „მედკაპიტალი“;
7. თბილისის №19 პოლიკლინიკა

მ.შ. რეგიონებში:

1. შპს მცხეთის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი „ჯანმრთელი თაობა“
2. შპს „ჯეოჰოსპიტალს“ - გურჯაანში;
3. შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი“;
4. შპს „ბათუმის №1 პოლიკლინიკა“;
5. სს „ევექსის ჰოსპიტლები - ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი“;
6. შპს „ქუთაისის №4 შერეული პოლიკლინიკა“;
7. შპს „ქუთაისის დ. ნაზარიშვილის სახ. საოჯახო მედიცინისა და საოჯახო მედიცინის რეგიონალური სასწავლო ცენტრი“;
8. სს „რუსთავის №2 სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი“;
9. შპს „გორმედი“.

კლინიკების შერჩევითვის გამოვიყენეთ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ თბილისის რაიონების განაწილების დოკუმენტი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 დეკემბრის №16-35 დადგენილების მიხედვით), რომელიც საფუძვლად დაედო უბნების გადანაწილებას პროექტში მონაწილე დაწესებულებებს შორის.

პაციენტის კმაყოფილების შეფასებას კი, საფუძვლად დაედო 112-ში რეაგირებული ზარები და საშედეგო ფორმები, ასევე, სიმულირებული პაციენტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები (დანართი #5).

გარე კონტროლის შედეგები

ჩატარებულმა ტესტირებამ გვიჩვენა შემდეგი შედეგები:

ონლაინ კლინიკების მიერ განხორციელებული სატელეფონო კონსულტაციები

- ოჯახის ექიმის მიერ 112-იდან მიღებულ ზარზე რეაგირების პერიოდი შეადგენდა საშუალოდ 11,6 წუთს (მინიმალური 1 წთ, მაქსიმალური - 33 წთ).
- კონსულტაციაზე დახარჯული დრო, საშუალოდ, შეადგენდა 7,1 წუთს (მინიმალური 2 წთ, მაქსიმალური 15წთ).
- კონსულტაციის შეფასების საშუალო ქულა 12 ექსპერტის გაერთიანებული მონაცემებით იყო - 41.8 ქულით (მისაღები დონე); მინიმალური ქულა - 26.0 (მიუღებელი), ხოლო მაქსიმალური ქულა - 62.4 (კარგი). შეფასებები, ექსპერტების და დაწესებულებების მიხედვით, წარმოდგენილია დანართ №4-ში.

ამდენად, კონსულტაციის შედეგები გადანაწილდა შემდგნაირად:

- ✓ მისაღები დონე დაფიქსირდა 9 ექიმთან (შემოწმებულების 56%)
- ✓ კარგი შედეგი - 3 ექიმთან (შემოწმებულთა 19%)
- ✓ მიუღებელი - 4 ექიმთან (შემოწმებულების 25%)
- ✓ ძალიან კარგი 0- არცერთი შემთხვევა

ონლაინ კლინიკების საწყისი შეფასება განხორციელდა 2020 წლის აპრილის თვეში. შედეგების უკუგება განხორციელდა როგორც პირდაპირი კომუნიკაციით ჯანდაცვის სამინისტროსა და პროექტის პერსონალის მონაწილეობით.

ასევე, 112-ის პროექტში მონაწილე ყველა დაწესებულებას დაეგზავნა ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური წერილი იმასთან დაკავშირებით, რომ ჯანდაცვის სამინისტრო მაღალ მნიშვნელობას ანიჭებდა სატელეფონო კომუნიკაციის უნარების განვითარებისთვის გარედან შეფასებისა (ე.წ. peer observation) და კონსტრუქციული უკუგების დანერგვას პირველად ჯანდაცვაში, რაც აღნიშნული სერვისის თვისობრივი მონიტორინგის საშუალებას იძლევა და ამავე დროს, ექნება ე.წ. “capacity building”-ის ფუნქცია და ასევე, გააფრთხილა, რომ ის გეგმავდა სისტემატური სახე მიეცა აღნიშნული ინსტრუმენტებით სატელეფონო მომსახურების შეფასებისთვის. ამავე მიმართვაში ხაზგასმული იყო სამინისტროს თხოვნა/მოლოდინი ადგილებზე პაციენტთა ეფექტური დისტანციური მომსახურების მისაღები სტანდარტის მიღწევისა და შენარჩუნების მიზნით, მოწოდებული ობიექტური ინტრუმენტების, რეგულარული აუდიტისა და ხარისხის გაუმჯობესების მონიტორინგის სხვა მექანიზმების დანერგვის თაობაზე.

ქვემოთ, წარმოდგენილია სატელეფონო კონსულტაციების გარე კონტროლის საწყისი დონის შედარება მომდევნო შეფასების შედეგებთან:

კრიტერიუმი	საწყისი შეფასება	განმეორებითი შეფასება
112-იდან მიღებულ ზარზე რეაგირების დრო	6 წთ	11.6 წთ
კონსულტაციაზე დახარჯული დრო	9 წთ	7.1 წთ
წარადგინა საკუთარი თავი	1.1	1.6
გადაამოწმა პაციენტის სახელი და გვარი	1.8	2.0
პაციენტს მიმართავს სახელით	1.9	2.0
გაარკვია, თუ რის მიღება სურს პაციენტს კონსულტაციიდან	1.1	1.5
ვერბალური ემპათია	1.3	1.7
უსმენს ყურადღებით	1.4	2.0
ადეკვატურად პასუხობს პაციენტის ემოციებს (ტირილი, ყვირილი, სიჩუმე)	1.5	1.7
აჩვენებს ინტერესს შესაბამისი კითხვების დასმით (იყენებს პაციენტის სიტყვებს)	1.3	1.8
იყენებს ღია კითხვებს	1.0	1.7
პაციენტს აძლევს ინფორმაციის დასრულების საშუალებას (არ აწყვეტინებს)	1.4	2.0
აჯამებს/აზუსტებს მიღებულ ინფორმაციას	1.1	1.7
ითვალისწინებს „წითელი დროშის“ ნიშნებს	1.3	1.5
ითვალისწინებს ქვეყანაში დამტკიცებული შესაძლო COVID-19 შემთხვევის კრიტერიუმებს	1.5	1.6
ითვალისწინებს მაღალი რისკის შემთხვევას	1.1	1.5
ითვალისწინებს ალტერნატიული დიაგნოზის შესაძლებლობას	1.3	1.5
აცნობს პაციენტს პრობლემის არსს	1.3	1.5
აცნობს გადაწყვეტილების არსებულ ვარიანტებს	1.1	1.5
ეკითხება პაციენტს რამდენად მისაღებია მისთვის შეთავაზებული ვერსია	1.0	1.5
კომპეტენტურია საუბრისას	1.6	1.6
ზრუნავს პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობაზე	1.0	1.3
გამოკითხა პაციენტი ხომ არა აქვს დამატებითი შეკითხვები	1.0	1.4
განუმარტა შემდგომი სამოქმედო გეგმა (სატელეფონო მონიტორინგის პერიოდულობა და ა. შ.)	1.5	1.7

საკმარისი (დააკონკრეტეთ----)	1.6	1.7
პაციენტის რისკი განისაზღვრა სწორად	1.8	1.4
112-ს შემთხვევა დაუბრუნდა სწორად	1.8	2.6
ჯამური ქულა	33.5	42.1
მიუღებელი %-ში	50%	25%
მისაღები %-ში	50%	56%
კარგი %-ში	0%	19%
ძალიან კარგი %-ში	0%	0%

შენიშვნა:

როგორც მოწოდებული ცხრილიდან ჩანს, ექიმის სატელეფონო მომსახურების ხარისხი, ზოგადად, წინა შეფასებასთან შედარებით, გაუმჯობესდა, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში, არცერთი სერიოზული კრიტერიუმი არ არის ადეკვატური, ხოლო კონსულტაციაზე დახარჯული დრო მნიშვნელოვნადაა შემცირებული, რაზეც აუცილებელია ყურადღების გამახვილება.

პაციენტის კმაყოფილება

პაციენტის კმაყოფილება შეფასდა 15 შემთხვევაში, ტრენირებული სიმულირებული პაციენტების გამოკითხვის საფუძველზე.

- შეფასებისას, საშუალო ქულა შეადგენდა 6,5-ს (მიუღებელი), მინიმალური 3 ქულა და მაქსიმალური 16 ქულა, მათ შორის, 10 პაციენტი აღნიშნავდა კმაყოფილების მიუღებელ დონეს (67%), 3 შემთხვევაში დაფიქსირდა მისაღები (20%), ხოლო 2 შემთხვევაში - კარგი მაჩვენებელი (13%), (დანართი #5).
- კონსულტაციის შეფასების ფურცლის მიხედვით, ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი (საშუალოდ 2 – 2,6 ქულა) მივიღეთ პაციენტის საიდენტიფიკაციო მონაცემების გადამოწმების, პაციენტისთვის ყურადღებით მოსმენის და 112-სათვის შემთხვევის ადეკვატურად დაბრუნების შეფასებისას.
- რაც შეეხება პაციენტისადმი ემპათიურ დამოკიდებულებას, პაციენტთან გადაწყვეტილების გაზიარებულ მიღებას, პროფესიონალიზმს/ კონფიდენციალობას, ღია კითხვების გამოყენებას, რისკის სათანადოდ შეფასებას და შემდგომი სამოქმედო გეგმის მკაფიოდ განსაზღვრას, ამ მხრივ საშუალო ქულა 1-დან 1,4-მდეა, რაც არაადამაკმაყოფილებელ შედეგზე მიგვითითებს.

- ზოგიერთ შემთხვევაში, ექიმი არ განიხილავდა ალტერნატიული დიაგნოზის არსებობის შესაძლებლობას, ზოგ შემთხვევაში კი, პირიქით, ექიმი გამოიცილებდა COVID-19 შემთხვევის არსებობას.
- აღსანიშნავია, რომ რამდენიმე შემთხვევაში ექიმი არ აძლევდა პაციენტს აზრის დასრულების შესაძლებლობას და კონსულტაცია იყო, ძირითადად ექიმზე ორიენტირებული.
- ყველა შემთხვევაში ექიმი ითხოვდა პაციენტის პირად ნომერს და არ უხსნიდა მას რისთვის ჭირდებოდა ეს მონაცემი.
- ფქოდ-ით დაავადებული პაციენტის შემთხვევაში ექიმების უმრავლესობამ არ გამოიკითხა პაციენტის თანმხლები პრობლემები და მედიკამენტური ანამნეზი, სანამ თავად პაციენტმა არ უთხრა საკუთარი დაავადებისა და მოხმარებული მედიკამენტების შესახებ.
- წითელი ქარის შემთხვევაში, ყველა ოჯახის ექიმმა გადაამისამართა ქირურგთან, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ არავითარი რჩევა არ მიუციათ სპეციალისტთან მიმართვამდე, დახმარების თვალსაზრისით.
- იმ შემთხვევაში, სადაც ოჯახის ექიმის კონსულტაცია მიუღებელი იყო, ექიმმა საერთოდ არ გამოიკითხა პაციენტის ანამნეზი და 2 წუთში შემოიფარგლა იმით, რომ გამოუწერა ამოსახველებელი და პარაცეტამოლი და გამოჰკითხა მხოლოდ პირადი ნომერი.
- თითქმის არც ერთ შემთხვევაში, არ ხდება ოჯახის ექიმის მიერ საკუთარი თავის წარდგენა, სანამ პაციენტი არ კითხულობს ექიმის ვინაობას.
- ერთ შემთხვევაში ექიმი პრაქტიკულად კონფლიქტში შევიდა პაციენტთან, როცა მან უარი უთხრა 112-ის მიერ სტაციონარში გადაყვანაზე და სთხოვა რჩევა, შინ დარჩენის პირობებში.
- არცერთ შემთხვევაში, სადაც ექიმი პაციენტს უნიშნავდა მედიკამენტურ მკურნალობას, არ განემარტა სათანადო ინფორმაცია თუ რისთვის დაინიშნა აღნიშნული მკურნალობა და რა მიზანს ემსახურებოდა მედიკამენტების მიღება.
- ექიმები პრაქტიკულად არ იყენებენ ღია კითხვებს, პაციენტისგან ინფორმაციის მეტი მოცულობით მიღების მიზნით და ძირითადად, შემოიფარგლებიან რამდენიმე კითხვით, რომელიც ხშირ შემთხვევაში პაციენტის მხრიდან ინფორმაციის არასრულყოფილი მიწოდების საფუძველი ხდება.
- ასევე, პრაქტიკულად არც ერთ შემთხვევაში, ექიმს არ გამოუკითხავს ოჯახში მაღალი რისკის პირების ცხოვრების ფაქტი.
- არ მიუციათ რჩევები თვითიზოლაციის, კონტაქტების იზოლაციის და ინფექციის პრევენციის წესების შესახებ.

- ზოგადად კონსულტაციის საშუალო ხანგრძლივობა არადამაკმაყოფილებელი იყო პაციენტებისთვის (საშუალოდ 0.5 ქულა), რაც ასევე აისახება ინფორმაციის არასათანადო შეკრებაში.
ქვემოთ, წარმოდგენილია პაციენტის კმაყოფილების შეფასების შედეგები, საწყის შეფასებათან შედარებით.

პაციენტის კმაყოფილების შეფასების შედეგები

შეკითხვა	საწყისი შეფასება	განმეორებითი შეფასება
ოჯახის ექიმი დაგიკავშირდათ დროულად?	2.0	2.0
ექიმმა საკმარისი დრო დაგითმოთ, თქვენი პრობლემის/წუხილის მოსასმენად?	1.2	1.1
გქონდათ, ექიმისთვის კითხვების დასმის საშუალება? ისაუბრეთ თქვენი ჩვილების მიზეზებზე?	1.0	1.2
რა რჩევა მოგცათ ექიმმა COVID-19-თან დაკავშირებით?	0.4	0.4
გაიგეთ, როგორ შეგიძლიათ მართოთ თქვენი დაავადება?	0.9	0.4
იცით, როგორ უნდა მოიქცეთ, თუ სიმპტომები გაგიუარესდათ? რას ნიშნავს გაუარესება, თუ ავიხსნათ?	0.7	0.6
დაგინიშნათ თუ არა მკურნალობა? რა რჩევები მოგცათ მკურნალობასთან დაკავშირებით?	0.9	0.7
განახორციელა ექიმმა თქვენთან განმეორებითი სატელეფონო მონიტორინგი?	2.0	2.0
ჯამური ქულა	9.1	8.4
მიუღებელი %-ში	50%	67%
მისაღები %-ში	20%	20%
კარგი %-ში	20%	13%
ძალიან კარგი %-ში	10%	0%

შენიშვნა:

როგორც მოწოდებული ცხრილიდან ჩანს, პაციენტის კმაყოფილება, წინა შეფასებასთან შედარებით, დაიწია, რაც სავარაუდოდ, იმითაა გამოწვეული, რომ განმეორებითი შეფასების პროცესის დაგეგმვისას, სიმულირებული პაციენტების სწორი მოლოდინის შექმნას მეტი დრო დაეთმო, ექიმის დისტანციური კონსულტაციის სწორად შეფასების მიზნით.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩატარებულმა ტესტირებამ გამოავლინა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია, პირველად ჯანდაცვაში დისტანციური კონსულტაციების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. განსახილველია შემდეგი საკითხები:

- გარე კონტროლის ინსტრუმენტმა საკმაოდ ეფექტურად იმუშავა, სატელეფონო კონსულტაციების ხარისხის არსებული დონის შესაფასებლად;
- შეფასების შედეგებმა გამოავლინა ოჯახის ექიმების კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გაუმჯობესების საჭიროება;
- პაციენტის კმაყოფილების შეფასების ინსტრუმენტი, ადექვატურად ასახავს ჩატარებული კონსულტაციის ხარისხს;
- არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად, აუცილებელია ონლაინ კლინიკებისათვის აღნიშნული შედეგების გაზიარება და შესაბამისი უკუგება;
- მნიშვნელოვანია, შესაბამისი აქტივობების განხორციელება პირველად ჯანდაცვაში, დისტანციური კომუნიკაციის უნარ-ჩვევის განვითარების მიმართულებით (სასწავლო კურსის შემუშავება, ტრენინგი და ა. შ.);
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სამინისტროს მხარდაჭერა გარე კონტროლის აღნიშნული მექანიზმის დანერგვის მიმართულებით (112-ის ხელმძღვანელობის საქმის კურსში ჩაყენება, ეთიკური საკითხების რეგულირება და ა. შ.);
- კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება, ასევე, ამ მექანიზმის საფუძველზე რეგულარული აუდიტისა და ხარისხის გაუმჯობესების მონიტორინგის მექანიზმების დანერგვას ადგილებზე, მისაღები სტანდარტის მიღწევისა და შენარჩუნების მიზნით.

კლინიკური შემთხვევა #1 - სცენარი:

სცენარი – 47 წლის ქალბატონი, საეჭვო COVID-19-ით - შემთხვევა გადმოცემულია 112-ის მიერ:

პაციენტის შემთხვევა შეირჩა ისე, რომ პროტოკოლის მიხედვით, ის უნდა გადამისამართებულიყო ოჯახის ექიმთან, მას (ოჯახის ექიმს) კი, უნდა შეეთავაზებინა ბინაზე დარჩენა და სატელეფონო მონიტორინგი.

პაციენტი 47 წლის ქალი.

უჩვიის ტემპერატურის მატებას 37.5°C, ავადაა მე-2 დღეა. აღნიშნავს, ასევე, საერთო სისუსტეს და მცირე ოფლიანობას, ყრუ ხასიათის სუსტი ინტენსივობის ტკივილს მუცლის ქვედა ნაწილში.

ჩვილების დაწყებას თითქოსდა არაფერს არ უკავშირებს, თუმცა გაახსენდა, რომ 2 დღის წინ მაღაზიაში იყო ჩასული. ცუდი ამინდის გამო, შეამცივნა და ფეხიც დაუსველდა.

გაციებისთვის დამახასიათებელ სხვა ჩვილებს უარყოფს.

სიცხის დამწვევი არ მიუღია და არც ტემპერატურა ჰქონია 37.5°C -ზე მაღალი.

პაციენტი დაავადებულია შაქრიანი დიაბეტით, იღებს დიაბეტის საწინააღმდეგო აბებს. სახლში აქვს გლუკომეტრი და შაქრის ციფრებს მუდმივად იკონტროლებს, თუმცა ხშირად აქვს მაღალიც. უწევს დიეტის დარღვევა.

აქვს ხოლმე შარდვის გახშირება, თუმცა ეს ბოლო 2 დღეა მოუმატა. შარდვისას უჩვიის დისკომფორტის შეგრძნებას.

დიაბეტის გამო სხვა განსაკუთრებული ჩვილები არა აქვს.

ოჯახში ცხოვრობს მეუღლესა და 2 არასწრულწლოვან შვილთან ერთად. თვითონ არ მუშაობს, თუმცადა უწევს მაღაზიაში და აფთიაქში, პერიოდულად, ჩასვლა. მეუღლე დისტრიბუტორია და დადის ყოველდღიურად სამსახურში. ოჯახში ცდოლობენ მაქსიმალურად უსაფრთხოების და ჰიგიენური პირობების დაცვას. შეშინებულია, არ ჰქონდეს COVID ინფექცია და არ იცის როგორ მოიქცეს.

დამატებითი შეკითხვები და დანარჩენი დეტალები, ასევე, შესაძლო კითხვები და პაციენტის სტანდარტული პასუხები, წარმოდგენილია ქვემოთ.

სცენარი მისტიკური პაციენტისთვის

ექიმის შესაძლო კითხვა	პაციენტის პასუხი
1. ძირითადი ჩივილი:	
<ol style="list-style-type: none"> 1. რა გაწუხებთ? 2. როდის დაგეწყით ტემპერატურა? 3. ტემპერატურის მომატებას გრძნობთ თუ აღმოაჩინეთ შემთხვევით კონტროლის დროს? რა სიხშირით იზომავთ? როგორ ცვალებადობს დღე-ღამეში? 4. ტემპერატურის მომატებას რას უკავშირებთ? 5. გაციების სხვა ნიშნები ხომ არ გაქვთ? მაგ.: სურდო, ხველა, ყელის ტკივილი, კუნთების ტკივილი, გემოს ან ყნოსის დაკარგვის შეგრძნება, ცემინება, თავის ტკივილი, ოფლიანობა? თავბრუსხვევა? საერთო სისუსტე? 6. წარსულში ანალოგიური ეპიზოდების არსებობა - საერთო სისუსტე, ოფლიანობა, შარდვის გახშირება 7. მედიკამენტი ხომ არაფერი მიგიღიათ 8. მაპროვოცირებელი ფაქტორები 	<ol style="list-style-type: none"> 1. სიცხე მაქვს 37.5°C 2. გუშინ საღამოს 3. საღამოს თითქოს შემამცივნა და გავიზომე. მქონდა 37.0°C, დღეს დილიდან 37.2°C, ხოლო ამ საღამოს გავიზომე და უკვე 37.5°C მაქვს 4. არაფერს არ ვუკავშირებ, თუმცა 2 დღის წინ მაღაზიაში ვიყავი, ცუდი ამინდი იყო და თითქოს შემცივდა და ფეხიც დამისველდა, რა ვიცი, შეიძლება გავცივდი. 5. სურდო, ხველა ყელის ტკივილი - არა, მაგრამ სისუსტე, ოფლიანობა - კი. 6. სისუსტე თითქოსდა მომემატა, წუხელ უფრო ოფლიანიც ვიყავი, როდესაც ავდექი, ტუალეტში გასასვლელად; შარდზეც რამდენიმეჯერ ვიყავი გასული, სხვა დროს 1-ჯერ მიწევს ხოლმე ადგომა. 7. არა, სიცხე მაღალი არ მქონია. ისე დიაბეტი მაქვს და შაქრის დასაწევ წამლებს კი ვსვამ. 8. სისუსტეც და ოფლიანობა გამიძლიერდა გაცივების შემდეგ.
2. თანმხლები ჩივილები	
<ol style="list-style-type: none"> 1. სუნთქვის გამწვანება 2. ტკივილი/შებოჭილობა გულმკერდის არეში 3. რა სიმპიომების და როგორი ტკივილი გაქვთ? სადმე თუ გადაეცემა? შეიცვალა თუ არა ტკივილის ხასიათი უკანასკნელ პერიოდში? 4. ხომ არ დაკვირვებხართ - რაიმე თუ ახდენს ზემოქმედებას - თუ გიმსუბუქებთ ტკივილს ან გიძლიერდებათ ხოლმე? 5. მოვლითი ტკივილია? შებერილობა, ნაწლავების მოქმედება? 	<ol style="list-style-type: none"> 1. სუნთქვის გამწვანება ადრე უფრო მქონდა, როდესაც ფიზიკურად ვიტვირთებოდი, ახლა უფრო არა მაქვს, თუმცა სისუსტის გამო, საქმესაც ვერ ვაკეთებ. 2. არა, ნამდვილად ვერ ვგრძნობ. თითქოს უფრო მუცელი მაწუხებს, ვიდრე გული. 3. უფრო მუცლის ქვედა ნაწილში ვგრძნობ რაღაც უსიამოვნო შეგრძნებას. ყრუდ მტკივა. არსად არ გადაეცემა. დღეს უფრო შემაწუხა. 4. არა, არ დაკვირვებვიარ. უფრო ყრუ ტკივილი მაქვს. 5. კუჭის მოქმედება, ყოველდღე მაქვს, არც შებერილობებს ვუჩივი დიდად.

<p>6. შარდვასთან დაკავშირებით რას გვეტყვი? გახშირებული შარდვა? წვა შარდვის დროს? შარდის ფერის ან სუნის ცვლილება წინა დღეებთან შედარებით ხომ არ შეგინიშნავთ? შარდის რაოდენობა ხომ არ არის შემცირებული?</p> <p>7. ოფლიანობა</p> <p>8. თავის ტკივილი, თავბრუსხვევა? ღებინება? რაიმე გამონაყარი? კისრის მიდამოს დაჭიმულობა?</p> <p>9. წონაში დაკლება ბოლო 2-3 თვის მანძილზე</p> <p>10. ძილთან დაკავშირებული პრობლემები</p> <p>11. გულისცემის აჩქარება</p> <p>12. სხვას ხომ არ დაამატებთ რაიმეს, ხომ არაფერი გაწუხებთ კიდევ?</p>	<p>6. დიაბეტის გამო შარდვის გახშირება მაქვს ხოლმე, რის გამოც ყურადღება არ მიმიქცევია, თუმცადა ეხლა თქვენ რომ მკითხეთ დაფიქრდი და მე მგონი ეხლა შედარებით კიდევ უფრო მეტად მაქვს გახშირებული. წუხელ რამდენიმეჯერ მომიწია ადგომა. წვა არ მაქვს, მაგრამ რაღაც დისკომფორტი კი ნამდვილად მაქვს. სხვა მხრივ, განსაკუთრებული არაფერი შემინიშნავს. შარდის რაოდენობა პირიქტით, მომატებულია, მგონი.</p> <p>7. ჭარბი ოფლიანობაც გუშინ ღამე, შევნიშნე.</p> <p>8. არა, არაფერი.</p> <p>9. არა თითქოს წონაში არც ვიმატებ და არც ვიკლებ.</p> <p>10. ღამით თუ ხშირად მომიწია შარდზე ადგომა, ჩამინება კი მიჭირს, სხვამხრივ არაფერი.</p> <p>11. ზოგადად, გულის ფრიალი მეწყება ფიზიკური აქტივობისას, მიჭირს დატვირთვა, სიმსუქნის გამოც.</p> <p>12. რა ვიცი, მეტი რაღა უნდა იყოს.</p>
---	---

<p>3. თანმხლები დაავადებები და რისკ-ფაქტორები</p>	
<p>1. იქნებ მომიყვით თქვენს დაავადებაზე, როგორც გავიგე, ძალიან მაქვს გამო, სვამთ მაქვს დამწვევ პრეპარატებს? რამდენი წელია, რომ დიაბეტი გაქვთ? როგორ გამოვლინდა? სიმპტომები გქონდათ თუ შემთხვევით აღმოაჩინეს?</p> <p>2. ჰიპერტენზია, ქოლესტერინი, კარდიოგრამა, მაქვს კონტროლის სისხლში ჭამამდე, ჭამის შემდეგ, თირკმლის ფუნქციები და ა. შ. სხვა გამოკვლევებს თუ ჩაგიტარებიათ, მხედველობა როგორი გაქვთ, სხვა პრობლემები ხომ არ გაქვთ?</p> <p>3. ანუ იცით როგორ უნდა მოუაროთ თავს და ახდენთ მაქვს კონტროლსაც?</p> <p>4. თამბაქოს წევა, ფიზიკურ აქტივობა, წონის კონტროლი, დიეტის საკითხებზე განსწავლული ჩანხართ, მაგრამ თუ იცავთ?</p>	<p>1. დიახ, დიაბეტით ვარ დაავადებული, 3 წელია აღმომაჩნდა მაქვს, ორსულობის დროს კი მქონდა მე-2 ბავშვზე, ძალიან მოვიმატე. მაგრამ მშობიარობის შემდეგ თითქოსდა დაიწია და არაფერი არ მაწუხებდა. 3 წლის წინ გაძლიერებული წყურვილის და გახშირებული შარდვის გამო, დამინიშნეს მაქვს გამოკვლევა სისხლში და მაშინ დამიდგინდა.</p> <p>2. წნევას კი ვიზომავ, პერიოდულად. ექიმთანაც ხშირად დავდივარ და ვიტარებ გამოკვლევებს; გლუკომეტრიც კი მაქვს და ვიზომავ ხოლმე მაქვსაც.</p> <p>3. კი ვიცი, განათლება არ მაკლია, მაგრამ დიეტას ყოველთვის ვერ ვიცავ და მაქვსაც მომატებული მაქვს ხოლმე.</p> <p>4. არც სიგარეტს ვეწევი და არც ალკოჰოლს ვირება, მაგრამ ზალიან მიჭირს დიეტის დაცვა და წონის კონტროლი, ფიზიკური აქტივობაც მიჭირს, ვცდილობ მეტნაკლებად, ხან გამომდის, ხან არა.</p>

5. მედიკამენტურ რეჟიმს იცავთ თუ მასაც არღვევთ? რა წამლებს იღებთ?	5. კი ვიცავ, თუმცა თვალის ექიმთან არ ვყოფილვარ მეორე წელია, როგორც დასრულდება ეს ამბები, მივხედავ ყველაფერს. ეხლა ვსვამ სიოფორს და დიაბეტონ MR-ს.
4. მედიკამენტური ანამნეზი	
1. მიმდინარე მკურნალობა 2. მედიკამენტური მკურნალობა წარსულში	1. სიოფორს და დიაბეტონ MR-ს 2. 3 წელის რაც მკურნალობს, მანამდე მედიკამენტები არ მიუღია.
5. კონტაქტები და სოციალური ფაქტორები	
1. დადასტურებულ COVID-19-თან ან საკარანტინე ზონაში მყოფ პირებთან კონტაქტი 2. სოციალური დისტანცირების და „დარჩით სახლში“ რეკომენდაციების დაცვა 3. სტუმრიანობა და ხალხმრავალ ადგილებში ყოფნა 4. ოჯახის წევრები 5. ინფექციის კონტროლის დაცვის წესები (ხელების დაბანა, პირბადე და ა. შ.) 6. სახლის პირობები, რამდენად იძლევა თვით იზოლაციის საშუალებას? სადილის მომზადება?	1. არა 2. რაც კარანტინი გამოცხადდა, სახლში ვარ და მაღაზიაში მიწევს პროდუქტებზე ჩასვლა 3. სტუმრები არ მყოლია და სამსახურიდანაც დაგვიტოხოვს 4. მეუღლე მყავს, რომელიც მუშაობს. მაქსიმალურად ერიდება, მაგრამ მაინც უხდება ვინაიდან დისტრიბუტორია. პირბადითა და ხელთათმანებით მუშაობს. სახლშიც დაბრუნების შემდეგ მაქსიმალურად იცავს ჰიგიენურ პირობებს. ბავშვებიც სკოლის მოსწავლეების არიან, სახლში ზიან და დისტანციურ სწავლაზე გადასული მათი სკოლაც. 5. ვხმარობ პირბადეს და ხელთათმანებს 6. მაქვს იზოლაციის საშუალება, ცალკე ოთახი და ორი ტუალეტი. უფროს ქალიშვილს შეუძლია სადილების კეთება, მეუღლეს დაეხმარება.
6. გადაწყვეტილების მიღება	
1. პაციენტთან გაზიარებული გადაწყვეტილების მიღება 2. შემდგომი სამოქმედო გეგმის გაცნობა	<ul style="list-style-type: none"> • კორონავირუსი ხომ არ მაქვს? • რა დანიშნულებას მომცემდით? • მეშინია ჩემი მდგომარეობის გამო • თან სახლიდან ვერ გადავალ ცხელების კლინიკაში.

პაციენტის მოლოდინი

მალიან მნიშვნელოვანია პაციენტისათვის სწორი მოლოდინის შექმნა, რომ მანაც სწორად მოახდინოს ექიმის კონსულტაციის შეფასება.

პაციენტმა უნდა იგრძნოს ის, რომ ექიმი მას გულდასმით უსმენს და უყურადღებოდ არ ტოვებს არცერთ სიგნალს, რომელსაც პაციენტი აძლევს.

ექიმა უნდა შეაჯამოს აუცილებლად მიღებული ინფორმაცია, რომ სწორად დასახოს მართვის გეგმა, რომელიც აუცილებლად იქნება პაციენტთან გაზიარებული არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ, გულწრფელად და რეალურად.

მართვის გეგმის ყველა დეტალი, ექიმის მიერ უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად სწორად გაიგო პაციენტმა და რამდენად შესძლებს მის შესრულებას.

პასუხი გაეცეს შემდეგ შეკითხვებს:

• **კორონავირუსი ხომ არ მაქვს?**

კორონავირუსი, რა თქმა უნდა, არა გაქვთ, თუმცა დიაბეტის გამო და გლუკოზის დონის ნორმაზე მაღალი მაჩვენებლებისას, გაქვთ დიაბეტთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრობლემების მომატებული რისკი და ამ პრობლემების ფონზე, შესაძლოა, გაძნელდეს COVID-19-ის მკურნალობა.

ამდენად, აუცილებელია დაიცვათ ყველა წესი:

- „დარჩით სახლში“
- **ზედმიწვევით აკონტროლეთ სიმპტომები.** თუ სიმპტომები გიუარესდებათ, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით პირად ექიმს.
- **დაისვენეთ და მიიღეთ საკმაო რაოდენობით სითხე**
- ექიმთან ვიზიტის საჭიროების შემთხვევაში, **წინასწარ დაურეკეთ ექიმს** და შეატყობინეთ, რომ გაქვთ ან შეიძლება გქონდეთ COVID-19
- **დაიფარეთ ცხვირი და პირი, ხველების და ცემინების დროს**
- **ხშირად დაიბანეთ ხელები** საპნით და თბილი წყლით, სულ მცირე, 20 წმ-ის მანძილზე ან დაიმუშავეთ ხელები, სულ მცირე, 60% ალკოჰოლის შემცველის სანიტაიზერით.
- შეძლებისდაგვარად, **დარჩით** იზოლირებულ ოთახში და **ოჯახის წევრებისგან მოშორებით.** შესაძლებლობის შემთხვევაში, ისარგებლეთ ცალკე აბაზანით. სხვებთან კონტაქტის საჭიროებისას, იხმარეთ სახის ნიღაბი.
- **არ გაუზიაროთ პირადი ნივთები** ოჯახის სხვა წევრებს (მაგ.:ჭურჭელი, პირსახოცი, თეთრეული)

• **რა დანიშნულებას მომცემდით?**

სავარაუდოდ, გაქვთ საშარდე გზების ინფექცია, რისთვისაც კარგი იქნებოდა:

რჩევები ორი მიმართულებით:

I. მკურნალობა მწვავე საშარდე გზების ინფექციის სამკურნალოდ:

- შარდის ანალიზის გამოკვლევა (თუ შესძლებთ საკუთარ ოჯახის ექიმთან დაკავშირებას)
- უროპიმიდი 400 მგ 2ჯერ დღეში დილას და საღამოს) ჭამის წინ (პაციენტთან მორიგი სატელეფონო კომუნიკაციისას მოხდება შემდგომი შეფასება და გადაიხედება მკურნალობის ტაქტიკა საჭიროების შემთხვევაში), დაგიკავშირდებით 3 დღეში, რეკომენდაციაა მიიღოს დიდი რაოდენობით სითხე; ალერგიული რეაქციების გამოვლენის შემთხვევაში, აუცილებელია, პრეპარატის მიღების შეწყვეტა

ან

- UROFLOX - რუფლოქსაცინის ჰიდროქლორიდი 200მგ - ორი ტაბლეტი ერთ მიღებაზე: დარტყმითი თერაპია - გაითვალისწინეთ მომატებული მგრძნობელობა რუფლოქსაცინისა და სხვა ქინოლონების მიმართ.

შვებას აუცილებლად იგრძნობთ 2-3 დღეში **ან/და სხვ.**

II. მკურნალობის გაგრძელება შაქრიანი დიაბეტის კონტროლის მიზნით

- გააგრძელეთ თქვენი დიაბეტის სამკურნალო ტაბლეტების მიღება, ჩვეულებისამებრ.
- გაისინჯეთ შაქარი სისხლში, 4 საათში ერთხელ და ჩაიწერეთ შედეგები.

თუ თავს შეუძლოდ გრძნობთ, მიუხედავად იმისა, რამდენად კონტროლირებადია სისხლში შაქარი, მითითებულ ღონისძიებებთან ერთად დამატებით საჭიროა:

- მიიღეთ არაკალორიული სითხეები, და ეცადეთ ჩვეულებრივ, გააგრძელოთ კვება; დეჰიდრატაციის თავიდან ასარიდებლად საკმარისი რაოდენობით მიიღეთ სითხე – 120-180მლ, ნახევარ საათში ერთხელ.
- ყოველდღიურად აიწონეთ. წონის დაკლება სპეციალური ძალისხმევის გარეშე, სისხლში შაქრის მაღალი შემცველობის მაჩვენებელია.
- ყოველ დილა-საღამოს გაიზომეთ ტემპერატურა.

ცხოვრების წესის ცვლილებები, კვებითი რეჟიმის დაცვა, წონის მართვა და ფიზიკური აქტივობა, გლიკემიის მართვა, წნევის გაზომვა და მართვა, ლიპიდების გაზომვა და მართვა და ა.შ. ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, კარგი იქნება თუკი დაუკავშირდებით თქვენი ოჯახის ექიმს და მასთან ერთად მოახდენთ დანიშნული მკურნალობის და მართვის გეგმის გადახედვას და კორექტირებას, საჭიროების შემთხვევაში.

- ჰიპერგლიკემია აქვეითებს ორგანიზმის თავდაცვას ბაქტერიული ინფექციებისგან, სხვადასხვა მექანიზმის მეშვეობით.
- სისხლში გლუკოზის ნორმალიზაცია ამცირებს ინფექციების რისკს, კერძოდ, ცისტიტის, ცელულიტის და პნევმონიის რისკს.
- აგრესიული, ინფექციისთვის სპეციფიური თერაპია და მხარდამჭერი თერაპია, მათ შორის, გლუკოზის სათანადო კონტროლი გადამწყვეტია, წარმატებით მკურნალობისთვის, ნებისმიერ შემთხვევაში.

• მეშინია ჩემი მდგომარეობის გამო

მიმართეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, თუ:

- იგრძნობთ მდგომარეობის გაუარესებას
- გაგიჭირდებათ სუნთქვა;
- სხეულის ტემპერატურა აღემატება 38,3°C-ს, 24 საათის მანძილზე;
- გაბრუნებული ხართ, ან ნათლად ვერ აზროვნებთ. შინ იყოლიეთ ახლოზელი, რომელიც დაურეკავს თქვენს ექიმს ან სასწრაფოს.

• თან სახლიდან ვერ გადავალ ცხელების კლინიკაში.

ამ ეტაპზე ნამდვილად, არ არის საჭირო, თქვენი გადასვლა ტესტირებისათვის სადმე - ცხელების კლინიკაში თუ ჰოსპიტალში.

ნებისმიერ დროს შეგიძლია დაგვირეკოთ ჩვენ.

კარგი იქნება თუკი დაუკავშირდებით თქვენი ოჯახის ექიმს და მიხედავთ და ერთად გადახედავთ დიაბეტის მართვის გეგმას, შემდგომი კორექტირების მიზნით.

მე, დაგირეკავთ 2-3 დღეში და დარწმუნებული ვარ, დისკომფორტი შარდვისას და ტემპერატურა მოწესრიგდება და მდგომარეობა გაუმჯობესდება.

კლინიკური შემთხვევა #2 - სცენარი:

სცენარი- 66 წლის მამაკაცი საეჭვო COVID-19-ით - შემთხვევა გადმოცემულია 112-ის მიერ:

პაციენტის შემთხვევა შეირჩა ისე, რომ პროტოკოლის მიხედვით, ის უნდა გადამისამართებულიყო ოჯახის ექიმთან, მას (ოჯახის ექიმს) კი, უნდა შეეთავაზებინა ბინაზე დარჩენა და სატელეფონო მონიტორინგი.

პაციენტი 66 წლის მამაკაცი.

უჩივის ხველას და ტემპერატურის მატებას 37- 37.5°C-მდე, სიცხის დამწვევებს არ იღებს. ხველა აქვს საშუალო რაოდენობის მოყვითალო - მონაცრისფრო ფერის ნახველით, ასევე, უჩივის ზოგად საერთო სისუსტეს. ადრეც ჰქონია მსგავსი ეპიზოდები, მაგრამ ამჯერად მდგომარეობა უფრო გაუარესებულია. ჩივილები აქვს, დაახლოებით, ერთ კვირაზე მეტია. სხვა რესპირატორული ვირუსული ინფექციისთვის დამახასიათებელი ჩივილებს, არ აღნიშნავს. თუმცა, უჩივის გამწვანებულ სუნთქვას, რომელიც უძლიერდება შეტევისებური ხველის დროს და მსუბუქი ფიზიკური დატვირთვისას. პაციენტის გადმოცემით, პერიოდულად აღნიშნება შებოჭილობაც გულმკერდის მიდამოში, რომელსაც გრძნობს ხველისას.

პაციენტს აქვს ბრონქების დაავადება, მაგრამ ვერ აკონკრეტებს რა დიაგნოზი აქვს. ბოლო 2 წელია მისი მდგომარეობა სტაბილურია. ექიმის დანიშნულებით, არასისტემატურად იყენებდა ბრეტარისს (მედიკამენტის მიღებას წყვეტს ჩივილების გაუმჯობესების შემდეგ).

ცხოვრობს მეუღლესთან ერთად, შეძლებისდაგვარად, იცავს ჰიგიენის წესებს და იყენებს პირადი დაცვის საშუალებებს, თუმცა ბოლო პერიოდში ხშირად უხდებოდა სახლიდან გასვლა და ვინაიდან, ჩივილებიც სხვა დროსთან შედარებით გაუარესებულია, ნერვიულობს არ ჰქონდეს COVID ინფექცია და არ იცის როგორ მოიქცეს.

დანარჩენი დეტალები, შესაძლო კითხვები და პაციენტის სტანდარტული პასუხები, წარმოდგენილია ქვემოთ.

სცენარი მისტიკური პაციენტისთვის

ექიმის შესაძლო კითხვა	პაციენტის პასუხი
1. ძირითადი ჩივილი:	
<ol style="list-style-type: none"> 1. რა გაწუხებთ? 2. ერთდრიულად დაგეწყით თუ არა ხველა და ტემპერატურა? 3. ტემპერატურის მომატებას გრძნობთ თუ მონიტორინგის დროს აღმოაჩინეთ შემთხვევით? 4. რა სიხშირით იზომავთ ტემპერატურას ? 5. როგორ ცვალებადობს დღე-ღამის განმავლობაში? 6. ამ პერიოდში მდგომარეობა ერთნაირია თუ თანდათან უარესდება? 7. თუ გქონიათ ადრე, ტემპერატურის მომატების ეპიზოდები? 8. სხვა დროსაც ხველასთან ერთად იყო? 9. როგორი ხველა გაქვთ (მშრალი თუ ნახველის გამოყოფით) ? 10. როგორია ნახველი? 11. მწელად ამოხველდება? 12. ნახველი ბევრია თუ მცირე რაოდენობით გამოიყოფა? 13. სისხლის მინარევი ხომ არ შეგინიშნავთ ნახველში? 14. ხველა შეტევისებურია თუ ცალკეული ჩახველების ეპიზოდებია? 15. ნახველი ყველა ჩახველების შემდეგ გამოიყოფა? 16. მოიმატა ნახველის რაოდენობამ და ფერი ხომ არ შეცვლილა? 17. დღის განმავლობაში როგორ იცვლება ხველა? 18. რას უკავშირებთ აღნიშნული ჩივილების დაწყებას? 	<ol style="list-style-type: none"> 1. მახველებს და მაქვს ტემპერეტურა 2. თითქმის ერთდროულად, დაახლოებით, ერთ კვირაზე მეტი იქნება. 3. შემამცივნა და ხველამაც რომ მომიმატა, გავიზომე სიცხე. 4. დღეში რამდენჯერმე 5. დილას 37°C მაქვს ხოლმე და საღამოს მიწევს 37.5°C-მდე 6. თითქოს ცოტა გაუარესდა. 7. ადრეც მქონია მსგავსი ჩივილები, ციცხეც მიმატებდა. 8. დიახ, თითქოს სულ ერთად ემთხვევა ხოლმე. 9. ნახველიანია 10. თითქოს მოყვითალო- მონაცრისფრო 11. არა 12. საკმაოდ ბევრია, ადრე ამდენი არ მქონია. 13. არა 14. შეტევისებური არ არის. 15. თითქმის 16. კი, მოიმატა და ფერიც თოთქოს უფრო ჩირქოვანი გახდა. 17. დილით უფრო ხშირია, მერე კლებულობს. 18. ბოლო დღეების მანძილზე რამდენჯერმე მომიწია სახლიდან გასვლა და COVID - ით ხომ არ დავინფიცირდი? ძალიან მეშინია!
2. თანმხლები ჩივილები	
<ol style="list-style-type: none"> 1. სხვა ჩივილები ხომ არ გაქვთ? 	<ol style="list-style-type: none"> 1. მიჭირს სუნთქვა.

<p>2. გაციების სხვა ნიშნები ხომ არ გაქვთ? მაგ.: სურდო, ხველა, ყელის ტკივილი, კუნთების ტკივილი, გემოს ან ყნოსის დაკარგვის შეგრძნება, ცემინება, თავის ტკივილი, ოფლიანობა?</p> <p>3. ამოსუნთქვა უფრო გიჭირთ თუ ჩასუნთქვა?</p> <p>4. სხვა დროსაც ხომ არ გქონიათ მსგავსი ჩივილები?</p> <p>5. რას გულისხმობთ გახშირებაში?</p> <p>6. ღამითაც გაქვთ ქოშინი?</p> <p>7. გაქვთ თუ არა სულისხუთვის შეგრძნება ქოშინისას?</p> <p>8. როდესაც სიცხე გქონდათ და ხველა მატულობდა, ქოშინიც მატულობდა ხომე?</p> <p>9. ანუ ეს სამივე სიმპტომი ერთად გქონდათ ხოლმე?</p> <p>10. ამ ყველაფრის გამო, სტაციონარშიც ხომ არ მოხვედრილხართ?</p> <p>11. ქვემო კიდურები ხომ არ გიშუპდებათ?</p> <p>12. ტუჩები ხომ არ გილურჯდებათ?</p> <p>13. ტკივილი/შებოჭილობა გულმკერდის არეში?</p> <p>14. დაღლილობა/ზოგადი სისუსტე ?</p> <p>15. დიარეა ?</p> <p>16. შარდვა ხომ არ გაქვთ გახშირებული?</p> <p>17. ძილთან დაკავშირებული პრობლემები ?</p> <p>18. გულისცემის აჩქარება?</p> <p>19. წონში ხომ არ დაიკელით ან ხომ არ მოიმატეთ?</p> <p>20. საგანგაშო სიმპტომები (ცნობიერების დაბინდვა, სუნთქვის მკვეთრი გამწვანება, კრუნჩხვა)?</p> <p>21. ზოგადად თქვენს მდგომარეობას როგორ შეაფასებთ? (მძიმე, მსუბუქი, საშუალო)?</p> <p>22. კიდევ რამეს ხომ არ დაამატებთ?</p>	<p>2. არა</p> <p>3. თითქოს უფრო ჩასუნთქვა</p> <p>4. კი, სხვა დროსაც შემიმჩნევია და თითქოს გამიხშირდა.</p> <p>5. ადრეც მქონდა, თუმცაღა სახლში საქმიანობის დროს არ მქონდა ხოლმე და ეხლა შევამჩნიე რომ საოჯახო საქმეების დროსაც მეწყება.</p> <p>6. არა მხოლოდ დატვირთვისას.</p> <p>7. არა</p> <p>8. კი ოღონდა ესე ძალიან არა</p> <p>9. კი, მქონდა ხოლმე.</p> <p>10. არა</p> <p>11. არა</p> <p>12. ძალიან იშვიათად, თუ დავიღალე.</p> <p>13. შებოჭილობას ვგრძნობ, უპირატესად, ხველისას</p> <p>14. სუსტად ვგრძნობ თავს</p> <p>15. არა</p> <p>16. არა</p> <p>17. არა, არ მაქვს პრობლემა.</p> <p>18. კი, ხშირად</p> <p>19. წონის ცვლილებას არ ვუჩივი</p> <p>20. არა</p> <p>21. რა ვიცი, საშუალოდ.</p> <p>22. რა ვიცი, არ ვარ კარგად და მეშინია.</p>
3. თანმხლები დაავადებები და რისკ-ფაქტორები	
<p>1. 1. დიაბეტი, ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, ასთმა, ფქოლ და ა. შ.</p>	<p>1. 1. ბრონქების დაავადება მაქვს, მაგრამ ზუსტად ვერ გეტყვით რა. მგონი, ქრონიკული ბრონიტი. სიგარეტი რაც შევამცირე, უკეთ გავხდი.</p>

<ol style="list-style-type: none"> 2. ბრონქებზე რითი გიმპურნალიათ? 3. ბრეტარისმა გაგიუმჯობესათ მდგომარეობა? 4. აბა რატომ არ იყენებთ რეგულარულად? 5. როცა ცივდებოდი ანტიბიოტიკების მიღება გჭირდებოდათ თუ არა? 6. ეხლა მდგომარეობის გამწვავებასთან დაკავშირებით იღებთ თუ არა რაიმეს? 7. ალერგიული ხომ არ ბრძანდებით? 8. თამბაქოს ხომ არ მოიხმართ (რამდენი ღერი და რამდენი ხანია)? 	<ol style="list-style-type: none"> 2. ექიმმა დამინიშნა ბრეტარისი, მაგრამ სისტემატიურად არ ვიყენებ 3. საგრძნობლად. 4. რა ვიცი, უკეთ როცა ვხდები, მერე მავიწყდება 5. არა, არ მახესნდება რომ მიმეღოს. 6. არა არც სიცხის დამწვევიც კი არ მიმიღია. 7. არა 8. თამბაქოს ვეწევი, მაგრამ 2 წელიწედი მკვეთრად შევამცირე, რადგან ზამთრობით ვცივდებიდი და იყო შემაწუხებელი
4. კონტაქტები და სოციალური ფაქტორები	
<ol style="list-style-type: none"> 1. დადასტურებულ COVID-19-თან ან საკარანტინე ზონაში მყოფ პირებთან კონტაქტი ხომ არ გქონიათ? 2. სოციალური დისტანცირების და „დარჩით სახლში“ რეკომენდაციებს თუ იცავთ? 3. სტუმრიანობა და ხალხმრავალ ადგილებში ხომ არ გიხდებათ ყოფნა? 4. ოჯახში რამდენი ადამიანი ცხოვრობთ? 5. ინფექციის კონტროლის დაცვის წესები (ხელების დაბანა, პირბადე და ა. შ.) 6. სახლის პირობები, რამდენად იძლევა თვით იზოლაციის საშუალებას? სადილის მომზადება? 	<ol style="list-style-type: none"> 1. არა 2. ზოგადად ვიცი, რომ პირბადით უნდა ვაირო და ხელთათმანები მეკეთოს. ამას კი ვაკეთებ და კიდევ რამეა საჭირო? 3. სტუმრები არ მყოლია და სამსახურიდანაც დაგვითხოვეს. 4. ვცხოვრობ მეუღლესთან ერთად. ჩემი მეუღლე პენსიონერია. სახლიდან, ძირითად, მე გავდივარ ხოლმე 5. ვიცავ ყველა წესს, შეძლებისდაგვარად. 6. მაქვს იზოლაციის საშუალება, ცალკე ოთახი, თუმცა საპირფარეშო ერთია ოჯახში. სადილებს ჩემი მეუღლე აკეთებს.
5. გადაწყვეტილების მიღება	
<ol style="list-style-type: none"> 1. პაციენტთან გაზიარებული გადაწყვეტილების მიღება 2. შემდგომი სამოქმედო გეგმის გაცნობა 	<p><input checked="" type="checkbox"/> კორონავირუსი ხომ არ მაქვს?</p> <p><input checked="" type="checkbox"/> რა დანიშნულებას მომცემდით?</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეშინია ჩემი მდგომარეობის გამო</p> <p><input checked="" type="checkbox"/> თან სახლიდან ვერ გადავალ ცხელების კლინიკაში.</p>

პაციენტის მოლოდინი

ძალიან მნიშვნელოვანია „მისტიკური პაციენტისათვის“ სწორი მოლოდინის შექმნა, რომ მანაც სწორად მოახდინოს ექიმის კონსულტაციის შეფასება.

პაციენტმა უნდა იგრძნოს ის, რომ ექიმი მას გულდასმით უსმენს და უყურადღებოდ არ ტოვებს არცერთ სიგნალს, რომელსაც პაციენტი აძლევს.

ექიმმა, აუცილებლად უნდა შეაჯამოს მიღებული ინფორმაცია, რომ სწორად დასახოს მართვის გეგმა, რომელიც აუცილებლად იქნება პაციენტთან გაზიარებული არა მოხლოდ ფორმალურად, არამედ, გულწრფელად და რეალურად.

მართვის გეგმის ყველა დეტალი, ექიმის მიერ უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად სწორად გაიგო პაციენტმა და რამდენად შესძლებს მის შესრულებას.

პასუხი გაეცეს შემდეგ შეკითხვებს:

• **კორონავირუსი ხომ არ მაქვს?**

კორონავირუსი, სავარაუდოდ არ გაქვთ, თუმცა თქვენი ფიტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების გამო ხართ მაღალი რისკის ჯგუფში, ამიტომ უნდა გააძლიეროთ სიფრთხილის ზომები, რადგან ინფიცირების შემთხვევაში მკურნალობა გაძნელებულია.

ამდენად, აუცილებელია დაიცვათ ყველა წესი:

- „დარჩით სახლში“
- **ზედმიწვევით აკონტროლეთ სიმპტომები.** თუ სიმპტომები გიუარესდებათ, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით პირად ექიმს.
- **დაისვენეთ და მიიღეთ საკმაო რაოდენობით სითხე**
- ექიმთან ვიზიტის საჭიროების შემთხვევაში, **წინასწარ დაურეკეთ ექიმს** და შეატყობინეთ, რომ გაქვთ ან შეიძლება გქონდეთ COVID-19
- **დაიფარეთ ცხვირი და პირი, ხველების და ცემინების დროს**
- **ხშირად დაიბანეთ ხელები** საპნით და თბილი წყლით, სულ მცირე, 20 წმ-ის მანძილზე ან დაიმუშავეთ ხელები, სულ მცირე, 60% ალკოჰოლის შემცველის სანიტაიზერით.
- შეძლებისდაგვარად, **დარჩით** იზოლირებულ ოთახში და **ოჯახის წევრებისგან მოშორებით.** შესაძლებლობის შემთხვევაში, ისარგებლეთ ცალკე აბაზანით. სხვებთან კონტაქტის საჭიროებისას, იხმარეთ სახის ნიღაბი.
- **არ გაუზიაროთ პირადი ნივთები** ოჯახის სხვა წევრებს (მაგ.:ჭურჭელი, პირსახოცი, თეთრეული)

• **რა დანიშნულებას მომცემდით?**

გაქვთ ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, რომელიც ამ ეტაპზე გამწვავდა და თქვენი მკურნალობა მოიცავს ძირითად მკურნალობასთან ერთად, დამატებით, გამწვავების ჩასაცხრობად საჭირო მედიკამენტებსაც:

წნევიანი ბალონის გამოყენება იცით თუა არა მაგალითად სალბუტამოლის? ვიცი, გამომიყენებია.

გახსოვთ მისი გამოყენების ტექნიკა? დიახ, მახსოვს.

მკურნალობა გამწვავების სამკურნალოდ:

1. **ბრეტარის ჯენუერი** - უზრუნველყავით მისი უწყვეტი, რეგულარული გამოყენება დღეში ორჯერადი ინჰალაციით
2. სიმპტომების შესამსუბუქებლად **საინჰალაციო სალბუტამოლი** 1-2 შესხურება დღეში 3-4 (ჯერ) საჭიროების მიხედვით
3. **აუგმენტინი** 1 გრ - 12 საათში ერთჯერ 7-10 დღე, ჭამის დაწყებისას დალიეთ.
4. **ფლუდიტეკი** - 15 მლ (თითო სუფრის კოვზი) 3-ჯერ დღეში **ჭამამდე ან ჭამიდან 2 საათის შემდეგ**

- **მეშინია ჩემი მდგომარეობის გამო**

მიმართეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, თუ:

- თუ იგრძნობთ მდგომარეობის გაუარესებას
- გაგიჭირდებათ სუნთქვა;
- სხეულის ტემპერატურა აღემატება 38,3°C-ს, 24 საათის მანძილზე;
- გაბრუებული ხართ, ან ნათლად ვერ აზროვნებთ. შინ იყოლიეთ ახლობელი, რომელიც დაურეკავს თქვენს ექიმს ან სასწრაფოს.

- **თან სახლიდან ვერ გადავალ ცხელების კლინიკაში.**

- ამ ეტაპზე ნამდვილად, არ არის საჭირო, თქვენი გადასვლა ტესტირებისათვის სადმე - ცხელების კლინიკაში თუ ჰოსპიტალში.
- ნებისმიერ დროს შეგიძლია დაგვირეკოთ ჩვენ.
- კარგი იქნება თუკი დაუკავშირდებით თქვენი ოჯახის ექიმს და მიხედავთ და ერთად ფქოდის მკურნალობას, შემდგომი კორექტირების მიზნით.
- მე, დაგირეკავთ 2-3 დღეში და დარწმუნებული ვარ, მდგომარეობა გაუმჯობესებული იქნება.

კლინიკური შემთხვევა #3 - სცენარი:

სცენარი- 35 წლის მამაკაცი საექვო COVID-19-ით - შემთხვევა გადმოცემულია 112-ის მიერ:

პაციენტის შემთხვევა შეირჩა ისე, რომ პროტოკოლის მიხედვით, ის უნდა გადამისამართებულიყო ოჯახის ექიმთან, მას (ოჯახის ექიმს) კი, უნდა შეეთავაზებინა ბინაზე დარჩენა და სატელეფონო მონიტორინგი.

პაციენტი არის 35 წლის მამაკაცი

უჩვიის ტემპერატურის მატებას 37.2⁰C - 37.5⁰C-მდე, ზოგად საერთო სისუსტეს, ოფლიანობას, უპირატესად ტემპერატურული რეაქციის ფონზე. გულისცემის აჩქარების შეგრძნებას, აღნიშნული ჩივილი აქვს 2 კვირაა. ასევე, უჩვიის ადვილად დაღლას, გუნება-განწყობილების ადვილად ცვალებადობას (პაციენტი ძალიან აფორიაქებულია, ემოციური). კუჭის მოქმედების გახშირებას. დინამიკაში მდგომარეობა უცვლელია.

ოჯახში - დედას აქვს გაკეთებული ფარისებრ ჯირკვალზე ოპერაცია, მაგრამ ვერ აკონკრეტებს. ტემპერატურის გამო ღებულობს ტაიქოლდის ჩაის. მაქსიმალურად ცდილობს გამოიყენოს პირადი დაცვის საშუალებები და ჰიგიენის წესები, თუმცა ყოველდღიურად უწევს მაღაზიაში სიარული და ძაღლის სასეირნოდ გაყვანა. სახლში ცხოვრობს მეუღლესა და 2 მცირეწლოვან შვილთან ერთად, არის შეშინებული კორონავირუსული ინფექციის გამო და როგორ მოიქცეს, არ იცის.

დანარჩენი დეტალები, შესაძლო კითხვები და პაციენტის სტანდარტული პასუხები, წარმოდგენილია ქვემოთ.

სცენარი მისტიკური პაციენტისთვის

ექიმის შესაძლო კითხვა	პაციენტის პასუხი
ძირითადი ჩივილი:	
<ol style="list-style-type: none"> 1. რა გაწუხებთ? 2. ცხელების ხანგრძლივობა და დღეღამური რიტმი როგორია? 3. ტემპერატურა მთელი დღეა თუ უპირატესად დღის რომელიმე მონაკვეთში? 4. ტემპერატურას გრძნობთ თუ თვითმონიტორინგით აღმოაჩინეთ? 5. ტემპერატურის მომატებას რა სიმპტომები ახლავს თან? 6. გულის ფრიალს მართო ტემპერატურის დროს გრძნობთ ხოლმე თუ სხვა დროსაც შეგინიშნავთ? 7. გაციების სხვა ნიშნები ხომ არ გაქვთ? მაგ.: სურდო, ხველა, ყელის ტკივილი, კუნთების ტკივილი, გემოს ან ყნოსის დაკარგვის შეგრძნება, ცემინება, თავის ტკივილი, ოფლიანობა? 8. დაღლილობა/ზოგადი სისუსტე 9. დაღლილობა და სისუსტე ტემპერატურასთან ერთად დაიწყო თუ ადრეც გახასიათებდათ? 10. სხვა ჩივილი ხომ არაფერი გაქვთ 	<ol style="list-style-type: none"> 1. ტემპერატურა 37.5°C 2. ჩივილი მაქვს დაახლოებით ორი კვირაა 3. მთელი დღის მანძილზე ვიზომავ და სულ მაქვს 37.2°C- 37.5°C ფარგლებში 4. ვგრძნობ ხოლმე და მაშინ ვიზომავ 5. თითქოს გული მიფრიალებს. 6. კი, სხვა დროსაც ხშირად შემინიშნავს. 7. არა 8. დიახ, სუსტადაც ვგრძნობ თავს და შედარებით ადვილადაც ვიღლები 9. ადრე პირიქით ენერჯის მოზღვავებას უფრო ვგრძნობდი. ეს ბოლო პერიოდია, რაც თავს სუსტად ვგრძნობ. 10. არა, არაფერი.
თანმზღვრები ჩივილები	
<ol style="list-style-type: none"> 1. ჩასუნთქვა ან ამოსუნთქვა ხომ არ გიჭირთ ? 2. ტკივილი / შებოჭილობა გულმკერდის არეში ? 3. ოფლიანობა? 4. მხოლოდ ტემპერატურის დროს გაქვთ ოფლიანობა თუ სხვა დროსაც შეგინიშნავთ? 5. თავის ტკივილი? 6. დიარეა? 7. რამდენჯერ გაქვთ კუჭის მოქმედება დღეში? როგორია განავალი ? 	<ol style="list-style-type: none"> 1. არა 2. არა 3. ტემპერატურის აწევის დროს, ვგრძნობ ოფლიანობასაც. 4. კი, ბოლო პერიოდში ჭარბი ოფლიანობა დამეწყო 5. არა 6. პერიოდულად მაწუხებს ხოლმე, თითქოს სუსტი კუჭი გამიხდა. 7. ადრე ვიცოდი ხოლმე 2 დღეში ერთხელ, ეხლა დღეში 2 -ჯერაც გავდივარ. ხანდახან

<ol style="list-style-type: none"> 8. განავალი შავი ფერის ხომ არ ყოფილა ან სისხლი ხომ არ შეგინიშნავთ? 9. განავალში ლორწო ან ჩირქი ხომ არ შეგინიშნავთ? 10. ბოლო პერიოდში წონის ცვლილება ხომ არ შეგინიშნავთ? 11. რამდენი დაიკელით და რა დროში? 12. უმადობა ხომ არ გაწუხებთ? 13. ბოლო პერიოდში ადვილად ხომ არ ღიზიანდებით? 14. ადვილად ხომ არ გეცვლებათ გუნება-განწყობილება? 15. უმიზეზო შფოთვა და აფორიაქებულობა ხომ არ გახასიათებთ? 17. თბილ ოთახში გაჩერების პრობლემა ხომ არ გაქვთ? 18. საგანგაშო სიმპტომები (ცნობიერების დაბინდვა, სუნთქვის მკვეთრი გამძელება, კრუნჩხვა) 19. სხვა ჩივილი ხომ არაფერი გაქვთ? 20. რაიმე სტრესი ხომ არ გქონიათ სამსახურში, სახლში? 	<p>ცოტა თხელია, მაგრამ კუჭი აშლილი არ მაქვს</p> <ol style="list-style-type: none"> 8. არა არ შემინიშნავს 9. არა არ შემინიშნავს 10. კი, ვიკლებ წონაში 11. თვეში დაახლოებით ერთ კილოს ვიკლებ. უკვე 5 კილო დავიკელი, ამ 5 თვეში. 12. არა, პირიქით ძალიან კარგად ვჭამ, მე მგონი იმაზე მეტსაც, ვიდრე ადრე ვღებუობდი, ამიტომ არ ვაკლებ ყურდლებას წონის დაკლებას. 13. დიახ, ადვილად მეშლება ნერვები 14. კი, გუნება-განწყობაც ადვილად მეცვლება 16. ძალიან ხშირად 16. რა ვიცი, კარგად ვიტანდი ადრე, თითქოს ამ ბოლო დროს აღარ მსიამოვნებს სითბო. 17. არა 18. არა 19. არა, პირიქით, თითქოსდა ყველა თვალეზში მიყურებს, ხანდახან მრცხვენია კიდეც.
--	--

თანმზღები დაავადებები და რისკ-ფაქტორები

<ol style="list-style-type: none"> 1. დიაბეტი, ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, ასთმა, ფქოდ და ა.შ. 2. ოჯახის რომელიმე წევრს, ხომ არ აქვს რაიმე ქრონიკული დაავადება ? 3. ოჯახის რომელიმე წევრი ხომ არ არის გაციებული, სიცხიანი, ხველა ხომ არ აქვთ ან რაიმე რესპირატორული ვირუსული ინფექციისთვის დამახასიათებელი? 4. ადრეც ხომ არ გქონიათ მსგავსი ეპიზოდები 5. თამბაქოს ხომ არ მოიხმართ?(რამდენი ღერი და რამდენი ხანია)? 6. ალერგიული ხომ არ ბრძანდებით? 	<ol style="list-style-type: none"> 1. არა, არაფერი 2. დედას აქვს გაკეთებული ფარისებრ ჯირკვალზე ოპერაცია, მაგრამ რა მიზეზით ზუსტად არ ვიცი 3. არა არავინ არ არის ავად ოჯახში 4. არა 5. არა 6. არა
--	--

7. ახლო წარსულში, ოპერაციული მკურნალობა ხომ არ ჩაგიტარებიათ?	7. არა, არაფერი ოპერაცია არ გამიკეთებია
4. კონტაქტები და სოციალური ფაქტორები	
<ol style="list-style-type: none"> 1. დადასტურებულ COVID-19-თან ან საკარანტინე ზონაში მყოფ პირებთან კონტაქტი ხომ არ გქონიათ? 2. სოციალური დისტანცირების და „დარჩით სახლში“ რეკომენდაციებს თუ იცავთ? 3. სტუმრიანობა და ხალხმრავალ ადგილებში ხომ არ გიხდებათ ყოფნა? 4. ოჯახში რამდენი ადამიანი ცხოვრობთ? 5. ინფექციის კონტროლის დაცვის წესები (ხელების დაბანა, პირბადე და ა. შ.) 6. სახლის პირობები, რამდენად იძლევა თვით იზოლაციის საშუალებას? სადილის მომზადება? 	<ol style="list-style-type: none"> 1. არა 2. მაქსიმალურად ვცდილობთ დავიცვათ წესები 3. სტუმრები არ მყოლია და სამსახურიდანაც დაგვითხოვეს, მაგრამ ყოველდღიურად მიწევს მაღაზიაში ჩასვლა ან მაღლის გასეირნება ამიტომ ძალიან მეშინია. 4. ვცხოვრობ მეუღლესთან და შვილთან ერთად 5. ვიცავ ყველა წესს, შეძლებისდაგვარად. 6. მაქვს იზოლაციის საშუალება, ცალკე ოთახი, თუმცა საპირფარეო ერთია ოჯახში. სადილებს ჩემი მეუღლე აკეთებს.
გადაწყვეტილების მიღება	
<ol style="list-style-type: none"> 1. პაციენტთან გაზიარებული გადაწყვეტილების მიღება 2. შემდგომი სამოქმედო გეგმის გაცნობა 	<ul style="list-style-type: none"> • კორონავირუსი ხომ არ მაქვს? • რა დანიშნულებას მომცემდით? • მეშინია ჩემი მდგომარეობის გამო • თან სახლიდან ვერ გადავალ ცხელების კლინიკაში.

პაციენტის მოლოდინი

ძალიან მნიშვნელოვანია „მისტიკური პაციენტისათვის“ სწორი მოლოდინის შექმნა, რომ მანაც სწორად მოახდინოს ექიმის კონსულტაციის შეფასება.

პაციენტმა უნდა იგრძნოს ის, რომ ექიმი მას გულდასმით უსმენს და უყურადღებოდ არ ტოვებს არცერთ სიგნალს, რომელსაც პაციენტი ამღევეს.

ექიმმა, აუცილებლად უნდა შეაჯამოს მიღებული ინფორმაცია, რომ სწორად დასახოს მართვის გეგმა, რომელიც აუცილებლად იქნება პაციენტთან გაზიარებული არა მოხლოდ ფორმალურად, არამედ, გულწრფელად და რეალურად.

მართვის გეგმის ყველა დეტალი, ექიმის მიერ უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად სწორად გაიგო პაციენტმა და რამდენად შესძლებს მის შესრულებას.

პასუხი გაეცეს შემდეგ შეკითხვებს:

- კორონავირუსი ხომ არ მაქვს?

დიდი ალბათობით კორონავირუსული ინფექცია არ გაქვთ, რადგან თქვენი ცხოვრების წესი და პირადი დაცვის საშუალებებისა და ჰიგიენური წესების გამოყენება განაპირობებს დაინფიცირების დაბალ რისკს, ასევე, თქვენი სიმპტომებისა და ჩივილების ერთობლიობა არასპეციფიურია COVID ინფექციისთვის.

ჩივილების უმრავლესობა: დიარეა, სისუსტე, დაღლილობა, წონაში კლება, გულის ფრიალი, ოფლიანობა, ხანგრძლივია და COVID ინფექციით ვერ აიხსნება. ერთადერთი ტემპერატურული რეაქცია გაქვთ ყველა სხვა სიმპტომის გარეშე, რაც ახასიათებს COVID ინფექციას, ამიტომ თეორიული შანსი ინფიცირების არსებობისა ყოველთვის არსებობს, მაგრამ ის ნაკლებად სარწმუნოა. თუმცა, სიფრთხილეს არ გამოორიცხავს და სასურველია მინიმუმ, ერთ კვირიანი, დაკვირვება და ამ ერთი კვირის განმავლობაში დაიცავით თვითიზოლაციის პირობები. თუ ამ ხნის მანძილზე ახალი სიმპტომები არ გამოვლინდა და ექვი კოვიდზე არ გაძლიერდა, მაშინ მიმართეთ თქვენი ოჯახის ექიმს, რადგან შესაძლოა დაგჭირდეთ გამოკვლევა ფარისებრ ჯირკვალზე მისი დაზიანების გამოსარიცხად, რადგან ამაზე, თქვენი სიმპტომების ერთობლიობიდან გამომდინარე, ექვი არსებობს.

ამდენად, აუცილებელია დაიცვათ ყველა წესი:

- „დარჩით სახლში“
- **ზედმეწვევით აკონტროლეთ სიმპტომები.** თუ სიმპტომები გიუარესდებათ, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით პირად ექიმს.
- **დაისვენეთ და მიიღეთ საკმაო რაოდენობით სითხე**
- ექიმთან ვიზიტის საჭიროების შემთხვევაში, **წინასწარ დაურეკეთ ექიმს** და შეატყობინეთ, რომ გაქვთ ან შეიძლება გქონდეთ COVID-19
- **დაიფარეთ ცხვირი და პირი, ხველების და ცემინების დროს**
- **ხშირად დაიბანეთ ხელები** საპნით და თბილი წყლით, სულ მცირე, 20 წმ-ის მანძილზე ან დაიმუშავეთ ხელები, სულ მცირე, 60% ალკოჰოლის შემცველის სანიტაიზერით.
- შეძლებისდაგვარად, **დარჩით** იზოლირებულ ოთახში და **ოჯახის წევრებისგან მოშორებით.** შესაძლებლობის შემთხვევაში, ისარგებლეთ ცალკე აბაზანით. სხვებთან კონტაქტის საჭიროებისას, იხმარეთ სახის ნიღაბი.
- **არ გაუზიაროთ პირადი ნივთები** ოჯახის სხვა წევრებს (მაგ.:ჭურჭელი, პირსახოცი, თეთრეული)

• **რა დანიშნულებას მომცემდით?**

თუ ტემპერატურა მოიმატებს 38°C-ის ზევით, მიიღეთ პარაცეტამოლი საჭიროებისამებრ 0.5 გ-დან 1 გ-მდე 4-6 საათში ერთხელ, მაქსიმუმ 4 გ დღეში.

ამ ეტაპზე მედიკამენტოზური მკურნალობა არ გჭირდებათ. აკონტროლეთ ტემპერატურა და პულსი დღეში 2-3 ჯერ დღეში. გააკეთეთ ჩანაწერი.

ტემპერატურა გაიზომეთ ილღიაში. რომელიც უნდა იყოს მშრალი, გაიჩერეთ თერმომეტრი 10 წთ-მდე. იყავით მოსვენებულ მდგომარეობაში (ნორმაში ტემპერატურა ილღიაში უნდა იყოს 37°C)

პულსი დაითვალეთ ასევე მოსვენებულ მდგომარეობაში. ფიზიკური აქტივობიდან არანაკლებ 10 წთ-ის გასვლის შემდეგ და ჩაიწერეთ.

ყურადღება მიაქციეთ სხვა ახალი სიმპტომების გამოვლინება

• **მეშინია ჩემი მდგომარეობის გამო**

მიმართეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, თუ:

- თუ იგრძნობთ მდგომარეობის გაუარესებას

- გაგიჭირდებათ სუნთქვა;
- სხეულის ტემპერატურა აღემატება 38,3°C-ს, 24 საათის მანძილზე;
- გაბრუებული ხართ, ან ნათლად ვერ აზროვნებთ. შინ იყოლიეთ ახლობელი, რომელიც დაურეკავს თქვენს ექიმს ან სასწრაფოს.

- **თან სახლიდან ვერ გადავალ ცხელების კლინიკაში.**

- ამ ეტაპზე ნამდვილად, არ არის საჭირო, თქვენი გადასვლა ტესტირებისათვის სადმე - ცხელების კლინიკაში თუ ჰოსპიტალში.
- ნებისმიერ დროს შეგიძლია დაგვირეკოთ ჩვენ.
- კარგი იქნება თუკი დაუკავშირდებით თქვენი ოჯახის ექიმს და ჩაიტარებთ შემდგომ სადიაგნოსტიკო კვლევებს.
- მე, დაგირეკავთ 2-3 დღეში და დარწმუნებული ვარ, მდგომარეობა გაუმჯობესებული იქნება.

კლინიკური შემთხვევა #4 - სცენარი:

სცენარი - 58 წლის ქალი საეჭვო COVID-19-ით - შემთხვევა გადმოცემულია 112-ის მიერ:

პაციენტის შემთხვევა შეირჩა ისე, რომ პროტოკოლის მიხედვით, ის უნდა გადამისამართებულიყო ოჯახის ექიმთან, მას (ოჯახის ექიმს) კი, უნდა შეეთავაზებინა ბინაზე დარჩენა და სატელეფონო მონიტორინგი.

პაციენტი 58 წლის ქალი.

უჩვიის სხეულის ტემპერატურის მატებას 37°C-მდე, უპირატესად დღის მეორე ნახევარში - ბოლო 2-3 დღეა. ასევე, მშრალ, ხშირ შეტევისებურ ხველას, რომელიც ძლიერდება ღამით და დაწოლილ მდგომარეობაში, უგრძელდება 3-4 კვირაა და პროგრესირებს. ბოლო ერთი კვირაა გახდა შემაწუხებელი. პერიოდულად განიცდის ჩხაპნის/დისკომფორტის შეგრძნებას ყელის მიდამოში. ჩივილების დაწყებას ვერაფერს ვერ უკავშირებს. მიმდინარე პრობლემის გამო ლებულობს ერიუსს, მეზობლის რჩევით.

პაციენტს აღეიშნება არტერიული ჰიპერტენზია, 2 თვის წინ დაენიშნა ენაპ H -10/12.5 და საღამოს ამატებს კაპტოპრილს (50 მგ), ჭამამდე ან ჭამიდან 1 საათის შემდეგ.

მოიხმარს თამბაქოს - 10 ღერი დღეში. ცხოვრობს მეუღლესთან ერთად.

მუშაობს მარკეტში მენეჯერად. შეძლებისდაგვარად, იცავს ინფექციის კონტროლის წესებს. თუმცადა, ვინაიდან მასაც და მის მეუღლესაც უწევთ სახლიდან გასვლა, ძალიან ნერვიულობს COVID ინფექციის გამო და არ იცის როგორ მოიქცეს.

დანარჩენი დეტალები, შესაძლო კითხვები და პაციენტის სტანდარტული პასუხები, წარმოდგენილია ქვემოთ:

სცენარი მისტიკური პაციენტისთვის

ექიმის შესაძლო კითხვა	პაციენტის პასუხი
1. ძირითადი ჩივილი:	
1. რა გაწუხებთ?	1. მახველებს და მაქვს ტემპერატურა.
2. ხველის ხასიათი (მშრალია თუ ნახველით)?	2. მშრალი
3. ხველის პერიოდულობა (მუდმივი თუ პერიოდული)?	3. მუდმივად მახველებს, თუმცა ხველა გამიძლიერდა ბოლო დღეებში.
4. ხველა დღისით უფროა გამოხატული თუ ღამით?	4. ერთნაირია დღე-ღამის მანამძილზე, ცოტათი მიძლიერდება დაწოლისას და ღამით.
5. გამთენიისას ხომ არ ძლიერდება	5. არა, არ შემინიშნავს
6. ხველის სიხშირე (ხშირი თუ იშვიათი)?	6. ხშირი
7. ხველა შეტევისებურია თუ ცალკეული ჩახველების ეპიზოდებია?	7. თითქოს სულ მახველებს
8. წარსულში ანალოგიური ეპიზოდების არსებობა	8. არა
9. რადენი ხანია გახველებთ	9. დაახლოებით 3-4 კვირა იქნება
10. ამ პერიოდში მდგომარეობა ერთნაირია თუ თანდათან უარესდება?	10. ბოლო ერთი კვირაა ძალიან გამიძლიერდა
11. გიმსუბუქებთ რაიმე მდგომარეობას?	11. არ შემინიშნავს.
12. რა გიუარესებთ მდგომარეობას?	12. ესე ვერ გეტყვით, დიდად არ დავკვირვებოვარ.
13. ტემპერატურის მომატებას გრძნობთ თუ მონიტორინგის დროს აღმოაჩინეთ შემთხვევით?	13. არა არ მიგვრძნია, ისე გავიზომე და სიცხეც მაქვს 37°C.
14. რა სიხშირით იზომავთ ტემპერატურას ?	14. 2-3 ჯერ ვიზომავ დღეში და მიფიქსირდება 37°C - 37.1°C
15. როგორ ცვალებადობს დღე-ღამის განმავლობაში?	15. დღის მეორე ნახევარში მიფიქსირდება უფრო ეს 37-37.1°C
16. გაციების სხვა ნიშნები ხომ არ გაქვთ? მაგ.: სურდო, ყელის ტკივილი, კუნთების ტკივილი, გემოს ან ყნოსის დაკარგვის შეგრძნება, ცემინება, თავის ტკივილი?	16. დისკომფორტის შეგრძნება მაქვს ყელის მიდამოში, მეტი არაფერი.
2. თანმხლები ჩივილები	
1. სუნთქვა ხომ არ გაქვთ გახშირებული?	1. არა
2. ამოსუნთქვა ან ჩასუნთქვა ხომ არ გიჭირთ?	2. არა, არ შემინიშნავს
3. ტკივილი/შებოჭილობა გულმკერდის მიდამოში?	3. არა
4. გულისცემის აჩქარება	4. არა

<p>5. ოფლიანობა</p> <p>6. დაღლილობა/ზოგადი სისუსტე</p> <p>7. ხველა ხომ არ არის კვებასთან დაკავშირებული?</p> <p>8. გულმმარვა, ბოყინი ხომ არ გაქვთ?</p> <p>9. ხველა ხომ არ არის დაკავშირებული სხეულის პოზიციის ცვლებადობასთან?</p> <p>10. დიარეა ხომ არ გაქვთ გამოხატული ?</p> <p>11. შარდვა ხომ არ გაქვთ გახშირებული?</p> <p>12. წონაში ცვლილება ხომ არ შეგინიშნავთ ბოლო პერიოდში?</p> <p>13. ძილთან დაკავშირებული პრობლემები?</p> <p>14. საგანგაშო სიმპტომები (ცნობიერების დაბინდვა, სუნთქვის მკვეთრი გაძნელება, კრუნჩხვა)</p> <p>15. კიდევ რამეს ხომ არ დაამატებთ?</p>	<p>5. არა</p> <p>6. არა</p> <p>7. არა, თითქოს ვერ ვუკავშირებ</p> <p>8. გააჩნია რას შევჭამ, თითქოს მყავეს და მწარეს რომ ვჭამ, მერე უფრო მაქვს ხოლმე.</p> <p>9. არა</p> <p>10. არა</p> <p>11. არა</p> <p>12. არა</p> <p>13. არა</p> <p>14. 1არა</p> <p>15. არა, მე მგონი, არაფერს</p>
<p>3. თანმხლები დაავადებები და რისკ-ფაქტორები</p>	
<p>1. დიაბეტი, ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, ასთმა, ფქოდ და ა. შ.</p> <p>2. თქვენ წნევის რა ციფრებს ატარებდით?</p> <p>3. რა ტიპის აპარატით იზომავთ წნევას?</p> <p>4. წნევის რა ციფრები გქონდათ, როცა ჩივილით მიხვედვით ექიმთან ?</p> <p>5. თამბაქოს ან ალკოჰოლს ხომ არ მოიხმართ?</p> <p>6. სუფრის მარილს რა რაოენობით მოიხმართ?</p> <p>7. ფიზიკურად რამდენად აქტიური ხართ დღის მანძილზე?</p> <p>8. ქვემო კიდურების შეშუპება ხომ არ შეგინიშნავთ?</p> <p>9. ჰიპერტენზიის გამო გაქვთ რაიმე დანიშნული მედიკამენტური მკურნალობა?</p> <p>10. რეგულარულად იღებთ დანიშნულ მედიკამენტს?</p> <p>11. ხველის დაწყებას ხომ არ უკავშირებთ წამლის მიღების დაწყებას?</p> <p>12. წნევის რა ციფრები გიფიქსირდებათ მედიკამენტის მიღების ფონზე?</p>	<p>1. წნევები დამიდგინდა 2 თვეა, სხვა არაფერი ისეთი, რომ მაწუხებდეს.</p> <p>2. 120/80 თავს ვგრძნობდი კარგად</p> <p>3. მხრის ელექტრო საზომი აპარატი მაქვს.</p> <p>4. კევის არეში მქონდა დაჭიმულობა და ყურებში შუილი, წნევა აღმომაჩნდა 160/80.</p> <p>5. ვეწევი დაახლოებით 10 ღერს დღეში, დალევით არ ვსვამ.</p> <p>6. მიყვარს მარილიანი და გამზადებულ საკვებს ყოველთვის ვამატებ</p> <p>7. მთელი დღე გასული ვარ სახიდან ვმუშაობ მაღაზიაში და ფიზიკურადც მიწევს აქტიურად ყოფნა.</p> <p>8. არა</p> <p>9. ენა h –10/12.5 საღამოს არ მყოფნის ხოლმე და თითქმის ყოველდღე მიწევს კაპტოპრილის (50 მგ) დამატება.</p> <p>10. კი, ვიღებ რეგულარულად</p> <p>11. არ ვიცი, დროში თითქოს დაემთხვა. არ დავკვირვებულვარ.</p> <p>12. საღამოს 150/75, ხანდახან 160/80 მაქვს ხოლმე და ამიტომ ვამატებ კაპტოპრილს.</p>

4. მედიკამენტური ანამნეზი	
1. მიმდინარე ჩივილების გამო რაიმე მედიკამენტური მკურნალობა ხომ არ ჩაგიტარებიათ?	1. რადგან ბოლო ერთი კვირაა გამირთულდა ხველა, მეზობლის რჩევით დავიწყე ერიუსის მიღება.
2. მკურნალობის ფონზე თავს უკეთ გრძნობთ?	2. წამალს 2 დღეა რაც ვღებულობ და დიდი შედეგი არ მაქვს. არ ვიცი უკეთ უნდა ვიყო?
5. კონტაქტები და სოციალური ფაქტორები	
1. დადასტურებულ COVID-19-თან ან საკარანტინე ზონაში მყოფ პირებთან კონტაქტი ხომ არ გქონიათ?	1. არა
2. სოციალური დისტანცირების და „დარჩით სახლში“ რეკომენდაციებს თუ იცავთ?	2. შეძლებისდაგვარად ვცდილობ დავიცვა, მაგრამ სამსახურში მიწევს ყოველდღიურად სიარული და მეშინია COVID ინფექციის გამო
3. სად მუშაობთ ?	3. მარკეტის მენეჯერი ვარ
4. სამსახურში გაქვთ თუ არა პირობები ?	4. ვიყენებ პირბადესა და ფარს. კიდევ რაიმე მჭირდება?
5. სტუმრიანობა და ხალხმრავალ ადგილებში ხომ არ გიხდებათ ყოფნა?	5. არა
6. ოჯახში რამდენი ადამიანი ცხოვრობთ?	6. ვცხოვრობ მეუღლესთან ერთად, მასაც უწევს პერიოდულად სახლიდან გასვლა.
7. ინფექციის კონტროლის დაცვის წესები (ხელების დაბანა, პირბადე და ა. შ.)	7. ვიცავ ყველა წესს, შეძლებისდაგვარად.
8. სახლის პირობები, რამდენად იძლევა თვით იზოლაციის საშუალებას? სადილის მომზადება?	8. მაქვს იზოლაციის საშუალება, ცალკე ოთახი, თუმცა საპირფარეშო ერთია ოჯახში. საჭმლის გაკეთება მე მიწევს ხოლმე.
6. გადაწყვეტილების მიღება	
1. პაციენტთან გაზიარებული გადაწყვეტილების მიღება	• კორონავირუსი ხომ არ მაქვს?
2. შემდგომი სამოქმედო გეგმის გაცნობა	• რა დანიშნულებას მომცემდით? • მეშინია ჩემი მდგომარეობის გამო • თან სახლიდან ვერ გადავალ ცხელების კლინიკაში.

პაციენტის მოლოდინი

ძალიან მნიშვნელოვანია „მისტიკური პაციენტისათვის“ სწორი მოლოდინის შექმნა, რომ მანაც სწორად მოახდინოს ექიმის კონსულტაციის შეფასება.

პაციენტმა უნდა იგრძნოს ის, რომ ექიმი მას გულდასმით უსმენს და უყურადღებოდ არ ტოვებს არცერთ სიგნალს, რომელსაც პაციენტი აძლევს.

ექიმმა, აუცილებლად უნდა შეაჯამოს მიღებული ინფორმაცია, რომ სწორად დასახოს მართვის გეგმა, რომელიც აუცილებლად იქნება პაციენტთან გაზიარებული არა მოხლოდ ფორმალურად, არამედ, გულწრფელად და რეალურად.

მართვის გეგმის ყველა დეტალი, ექიმის მიერ უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად სწორად გაიგო პაციენტმა და რამდენად შესძლებს მის შესრულებას.

პასუხი გაეცეს შემდეგ შეკითხვებს:

- **კორონავირუსი ხომ არ მაქვს?**

დიდი ალბათობით კორონავირუსული ინფექცია არ გაქვთ, რადგან თქვენი ცხოვრების წესი და პირადი დაცვის საშუალებებისა და ჰიგიენური წესების გამოყენება, განაპირობებს დაინფიცირების დაბალ რისკს, ასევე, თქვენი სიმპტომებისა და ჩივილების ერთობლიობა არასპეციფიურია COVID ინფექციისთვის. თეორიული შანსი ინფიცირებისა, ყოველთვის არსებობს, მაგრამ ის ნაკლებად სარწმუნოა, თუმცა სიფრთხილეს არ გამოირიცხავს და სასურველია, მინიმუმ ერთ კვირიანი დაკვირვება და ამ ერთი კვირის განმავლობაში, დაიცავით თვითიზოლაციის პირობები

ამავე დროს, თქვენი ქრონიკული დაავადების გამო ხართ მაღალი რისკის ჯგუფში, ამიტომ უნდა გააძლიეროთ სიფრთხილის ზომები, რადგან ინფიცირების შემთხვევაში მკურნალობა გაძნელდება.

ამდენად, აუცილებელია დაიცვათ ყველა წესი:

- „დარჩით სახლში“
- **ზედმეწვენი აკონტროლეთ სიმპტომები.** თუ სიმპტომები გიუარესდებათ, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით პირად ექიმს.
- **დაისვენეთ და მიიღეთ საკმაო რაოდენობით სითხე**
- ექიმთან ვიზიტის საჭიროების შემთხვევაში, **წინასწარ დაურეკეთ ექიმს** და შეატყობინეთ, რომ გაქვთ ან შეიძლება გქონდეთ COVID-19
- **დაიფარეთ ცხვირი და პირი, ხველების და ცემინების დროს**
- **ხშირად დაიბანეთ ხელები** საპნით და თბილი წყლით, სულ მცირე, 20 წმ-ის მანძილზე ან დაიმუშავეთ ხელები, სულ მცირე, 60% ალკოჰოლის შემცველის სანიტაიზერით.
- შეძლებისდაგვარად, **დარჩით** იზოლირებულ ოთახში და **ოჯახის წევრებისგან მოშორებით.** შესაძლებლობის შემთხვევაში, ისარგებლეთ ცალკე აბაზანით. სხვებთან კონტაქტის საჭიროებისას, იხმარეთ სახის ნიღაბი.
- **არ გაუზიაროთ პირადი ნივთები** ოჯახის სხვა წევრებს (მაგ.:ჭურჭელი, პირსახოცი, თეთრეული)

რჩევები 2 მიმართულებით

- **რა დანიშნულებას მომცემდით?**

- I. **მკურნალობა - სიმპტომების მოხსნის/შემსუბუქების მიზნით:**

სავარაუდოდ, თქვენ არტერიული ჰიპერტენზიის კონტროლისთვის დანიშნული მედიკამენტის გვერდითი მოვლენაა და თქვენი ხველა, გამოწვეულია იმ მედიკამენტის გამო, რასაც ღებულობთ, ამიტომ, უნდა ჩავანაცვლოთ მკურნალობა და დავაკვირდეთ შედეგს. მედიკამენტის აღნიშნული გვერდითი მოვლენა თუ მგრძობელობის გაზრდა, შესაძლოა, განვითარდეს მკურნალობის დაწყებიდან/ პირველი დოზის მიღებიდანვე - რამდენიმე საათიდან თვეებამდე პერიოდში.

პრეპარატის გამოყენების შეწყვეტის შემდეგ, ეს ხველა თავისთავად გაივლის, თუმცა ხანდახან კვირაც და იშვიათად, თვეც კი შეიძლება, დასჭირდეს ხველის ბოლომდე კუპირებას. ყოფილა შემთხვევები, ძალიან იშვიათად, 3 თვემდეც კი გაგრძელებულა, მაგრამ ძალიან იშვიათად. ამიტომ არ შეგეშინდეთ.

მე შეგიცვლით მედიკამენტს და უნდა გააგრძელოთ სისხლის წნევის კონტროლი და დანიშნული მედიკამენტების მიღება.

II. მკურნალობის გაგრძელება არტერიული ჰიპერტენზიის კონტროლის მიზნით

აუცილებელია, გააგრძელოთ მკურნალობა წნევის დამწვევი მედიკამენტით და ასევე, წნევა იზომეთ დღეში ორჯერ დილა-სადამოს (მედიკამენტის მიღებამდე) და აწარმოეთ მონიტორინგის დღიური.

რაც შეეხება მედიკამენტს, მოგიხსნით ორივე წამალს და დაგინიშნავთ მხოლოდ ლორისტა H50/12.5 - 1 აბი პრეპარატის მიღება შესაძლებელია საკვებისა და სასმელისგან დამოუკიდებლად. პრეპარატი მიიღება ყოველდღე, ჭიქა წყლის მიყოლებით. არ არის რეკომენდებული ალკოჰოლის მიღება ლორისტა H-თან ერთად

ალერგიული ან სხვა გვერდითი მოვლენის განვითარებისთანავე, შეწყვიტეთ წამლის მიღება და დამირეკეთ.

რაც შეეხება, გულ-სისხლძარღვთა დაავადების თანმხლები რისკ-ფაქტორებს, აუცილებელია, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე ფიქრი; იქნებ როგორმე შესძლოთ, თამბაქოსთვის თავის დანებება, ფიზიკური აქტივობის გაზრდა და კვებითი რეკომენდაციების შესრულება, განსაკუთრებით, მარილის შემცირება - ეცადეთ არ დაამატოთ საჭმელს მარილი და შემდეგ, ნელ-ნელა ეტაპობრივად შეამციროთ მარილის მოხმარება. ასევე, მნიშვნელოვანია ცხოველური ცხიმების მიღების შემცირება, ძილის მოწესრიგება.

აუცილებლად, შეასრულეთ ეს დანიშნულება, მე დაგირეკავთ პერიოდულად და როგორც კი შევძლებთ, უნდა დაუკავშირდეთ თქვენს ოჯახის ექიმს და გესაჭიროებათ სერიოზული გამოკვლევების ჩატარება (მ.შ. ქოლესტერინზე, თირკმლის ფუნქციებზე, გულსა და ა.შ.) დაავადების მიმდინარეობაზე და ჰიპერტენზიით გამოწვეული გართულებების თავიდან ასაცილებლად, რუტინული მონიტორინგი.

• მეშინია ჩემი მდგომარეობის გამო

მიმართეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, თუ:

- თუ იგრძნობთ მდგომარეობის გაუარესებას
- გაგიჭირდებათ სუნთქვა;
- სხეულის ტემპერატურა აღემატება 38,3°C-ს, 24 საათის მანძილზე;
- გაბრუებული ხართ, ან ნათლად ვერ აზროვნებთ. შინ იყოლიეთ ახლობელი, რომელიც დაურეკავს თქვენს ექიმს ან სასწრაფოს.

• თან სახლიდან ვერ გადავალ ცხელების კლინიკაში

- ამ ეტაპზე ნამდვილად, არ არის საჭირო, თქვენი გადასვლა ტესტირებისათვის სადმე - ცხელების კლინიკაში თუ ჰოსპიტალში.
- ნებისმიერ დროს შეგიძლია დაგვირეკოთ ჩვენ.
- კარგი იქნება თუკი დაუკავშირდებით თქვენი ოჯახის ექიმს და მიხედავთ ჰიპერტენიის მკურნალობას, შემდგომი კორექტირების მიზნით.
- მე, დაგირეკავთ 2-3 დღეში და დარწმუნებული ვარ, მდგომარეობა გაუმჯობესებული იქნება.

კლინიკური შემთხვევა #5 - სცენარი:

56 წლის ქალბატონი საეჭვო COVID-19-ით - შემთხვევა გადმოცემულია 112-ის მიერ:

პაციენტის შემთხვევა შეირჩა ისე, რომ პროტოკოლის მიხედვით, ის უნდა გადამისამართებულიყო ოჯახის ექიმთან, მას (ოჯახის ექიმს) კი, უნდა შეეთავაზებინა ბინაზე დარჩენა და სატელეფონო მონიტორინგი.

პაციენტი 56 წლის ქალბატონი.

უჩვიის სხეულის ტემპერატურის მატებას 38.5 გრადუსამდე, საერთო სისუსტეს. აღნიშნული ჩივილი აქვს 3 დღეა. ასევე მარჯვენა ფეხის ტკივილს, სიმხურვალესა და სიწითლეს წვივის არეში მე-2 დღეა. იანვარში გადატანილი აქვს ორმხრივი მწვავე პნევმონია, ჩაიტარა ანტიბიოტიკოთერაპიის სრული კურსი.

ანამნეზში, რამდენიმე წლის წინ, მოტეხილი აქვს მარჯვენა ფეხის წვივის მიდამო. ჩაუტარადა მეტალოფიქსაცია (ოსტეოსინთეზი).

ცხოვრობს მარტო, მუშაობს აფთიაქში (სამსახურში არ დადის ბოლო 3 დღეა რაც ტემპერატურა გამოუვლინდა), ხმარობდა პირბადესა და ხანდახან ფარსაც. პაციენტი შეშინებულია მისი ანამნეზიდან გამომდინარე COVID ინფექციის გამო და არ იცის როგორ მოიქცეს

დანარჩენი დეტალები, შესაძლო კითხვები და პაციენტის სტანდარტული პასუხები, წარმოდგენილია ქვემოთ:

სცენარი მისტიკური პაციენტისთვის

ექიმის შესაძლო კითხვა	პაციენტის პასუხი
1. ძირითადი ჩივილი:	
<ol style="list-style-type: none"> 1. რა გაწუხებთ? 2. როგორია ცხელების ხანგრძლივობა ? 3. ტემპერატურის მომატებას გრძნობთ თუ მონიტორინგის დროს აღმოაჩინეთ შემთხვევით? 4. რა სიხშირით იზომავთ ტემპერატურას? 5. როგორ ცვალებადობს დღე-ღამის განმავლობაში? 6. პერიოდში მდგომარეობა ერთნაირია თუ თანდათან უარესდება? 7. დაღლილობა/ზოგადი სისუსტე 	<ol style="list-style-type: none"> 1. ტემპერატურა 38.5 გრადუსამდე 2. ჩივილი მაქვს მე-3 დღეა. 3. შემამცივნა და გავიზომე. მაშინ დავაფიქსირე, რომ მაღალი მქონდა 4. დღეში 3-4 ჯერ 5. ტემპერატურა მაქვს მეთელი დღის მანძილზე, დამწვევს მივიღებ, რამდენიმე საათით მიწვევს დაბლა, მაგრამ, მალევე, ისევ შემამცივნებს და მაღლა ამდის 6. თითქოს ერთნაირია 7. დიახ, სუსტადაც ვგრძნობ თავს, განსაკუთრებით, როცა სიცხე მიწვევს ხოლმე.
2. თანმხლები ჩივილები	
<ol style="list-style-type: none"> 1. სუნთქვის გაძნელება 2. ტკივილი / შებოჭილობა გულმკერდის არეში 3. ოფლიანობა 4. თავის ტკივილი 5. დიარეა 6. შარდვის გახშირება ხომ არ არის? 7. წონის ცვლილება ხომ არ შეგინიშნავთ ბოლო პერიოდში? 8. ძილთან დაკავშირებული პრობლემები 9. გულისცემის აჩქარება? 10. სხვა ჩივილი ხომ არაფერი გაქვთ? 11. ეს სიწითლე შემოსაზღვრულია თუ ვრცელდება მთელს კიდურზე? 12. შემუპებულები ხომ არ გაქვთ კიდურები? 	<ol style="list-style-type: none"> 1. არა 2. არა 3. არა 4. არა 5. არა 6. არა 7. არა 8. არა 9. არა, მაგრამ როცა სიცხე მიწვევს, მაშინ თითქოსდა მიჩქარდება 10. მე-2 დღეა მარჯვენა ფეხიც მტკივა, თითქოს შეწითლებული მაქვს და მიხურს. ქავილიც მაქვს და დაჭიმულობაც. შეიძლება კავშირიში იყოს? 11. არა, მარტო წვივის წინა ზედაპირზე 12. დიახ, შემუპებულები მაქვს და მიხურს

13. ტკივილი ადგილობრივია თუ გადაეცემა სადმე?	13. არა მხოლოდ წვივის მიდამოში მტკიცია
14. როგორია ტკივილის ინტენსივობა	14. ძალიან არ მტკიცია, თუმცა უსიამოვნო შეგრძნებაა, მაწუხებს.
15. ტკივილს მუდმივი ხასიათი აქვს თუ მოვლითი?	15. თითქმის მუდმივი დისკომფორტია
16. საგანგაშო სიმპტომები (ცნობიერების დაბინდვა, სუნთქვის მკვეთრი გაძნელება, კრუნჩხვა)	16. არა
3. თანმხლები დაავადებები და რისკ-ფაქტორები	
1. დიაბეტი, ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, ასთმა, ფქოდ და ა. შ.	1. არა. მაგრამ იანვარში გადავიტანე ორმხრივი ფილტვების ანთება, მაშინ კი ჩავიტარე სრულად ანტიბიოტიკებით მკურნალობა, ეხლა კი კორონავირუსის გამო მეშინია.
2. სტაციონარში ხომ არ მოგიწიათ დაწოლა?	2. არა, სახლში ვმკურნალობდი ექვასის ექიმის მეთვალყურეობით.
3. რაიმე ტრავმა ან ოპერაცია ხომ არ გაქვთ გადატანილი	3. რამდენიმე წლის წინ მოვიტეხე მარჯვენა ფეხი წვივის არეში და რკინა მაქვს ჩადგმული
4. ადრეც ხომ არ გქონია მსგავსი ეპიზოდები	4. არა
5. თამბაქოს ხომ არ მოიხმართ(რამდენი ღერი და რამდენი ხანია)	5. არა
6. ალერგიული ხომ არ ხართ?	6. არა
4. მედიკამენტური ანამნეზი	
1. რაიმე მედიკამენტი ხომ არ მიგიღიათ მიმდინარე ჩივილების გამო?	1. პარაცეტამოლს ვღებულობ 38°C სიცხეზე.
2. სხვა რაიმე მედიკამენტებს ხომ არ ღებულობთ?	2. არა
5. კონტაქტები და სოციალური ფაქტორები	
1. დადასტურებულ COVID-19-თან ან საკარანტინე ზონაში მყოფ პირებთან კონტაქტი ხომ არ გქონიათ?	1. არა
2. სოციალური დისტანცირების და „დარჩით სახლში“ რეკომენდაციებს თუ იცავთ?	2. 2-3 დღეა რაც სიცხე მაქვს, არ გავსულვარ სახლიდან, თუმცა მანამდე ყოველდღიურად ვმუშაობდი აფთიაქში.
3. სამსახურში იყენებთ თუ არა პირადი დაცვის საშუალებებს?	3. ვმუშაობდი პირბადით და ხანდახან ფართთაც. კლიენტებთან ვიცავდით 2 მეტრიან დისტანციას.
4. ოჯახში რამდენი ადამიანი ცხოვრობთ?	4. ვცხოვრობ მარტო

5. ინფექციის კონტროლის დაცვის წესები (ხელების დაბანა, პირბადე და ა. შ.)	5. ვიცავ ყველა წესს, შეძლებისდაგვარად.
6. გადაწყვეტილების მიღება	
1. პაციენტთან გაზიარებული გადაწყვეტილების მიღება	<input type="checkbox"/> კორონავირუსი ხომ არ მაქვს?
2. შემდგომი სამოქმედო გეგმის გაცნობა	<input type="checkbox"/> რა დანიშნულებას მომცემდით? <input type="checkbox"/> მეშინია ჩემი მდგომარეობის გამო <input type="checkbox"/> თან სახლიდან ვერ გადავალ ცხელების კლინიკაში.

პაციენტის მოლოდინი

ძალიან მნიშვნელოვანია „მისტიკური პაციენტისათვის“ სწორი მოლოდინის შექმნა, რომ მანაც სწორად მოახდინოს ექიმის კონსულტაციის შეფასება.

პაციენტმა უნდა იგრძნოს ის, რომ ექიმი მას გულდასმით უსმენს და უყურადღებოდ არ ტოვებს არცერთ სიგნალს, რომელსაც პაციენტი აძლევს.

ექიმმა, აუცილებლად უნდა შეაჯამოს მიღებული ინფორმაცია, რომ სწორად დასახოს მართვის გეგმა, რომელიც აუცილებლად იქნება პაციენტთან გაზიარებული არა მოხლოდ ფორმალურად, არამედ, გულწრფელად და რეალურად.

მართვის გეგმის ყველა დეტალი, ექიმის მიერ უნდა გადამოწმდეს, თუ რამდენად სწორად გაიგო პაციენტმა და რამდენად შესძლებს მის შესრულებას.

პასუხი გაეცეს შემდეგ შეკითხვებს:

- **კორონავირუსი ხომ არ მაქვს?**

- დიდი ალბათობით კორონავირუსული ინფექცია არ გაქვთ, რადგან თქვენი ცხოვრების წესი და პირადი დაცვის საშუალებებისა და ჰიგიენური წესების გამოყენება განაპირობებს დაინფიცირების დაბალ რისკს, ასევე, თქვენი სიმპტომებისა და ჩივილების ერთობლიობა არასპეციფიურია COVID ინფექციისთვის.
- თეორიული შანსი ინფიცირების ყოველთვის არსებობს, ამდენად, სიფრთხილეს არ გამოირიცხავს და სასურველია, მინიმუმ ერთ კვირიანი დაკვირვება, თვითიზოლაციაში ყოფნა.

ამდენად, აუცილებელია დაიცვათ ყველა წესი:

- „დარჩით სახლში“
- **ზედმიწვევით აკონტროლეთ სიმპტომები.** თუ სიმპტომები გიუარესდებათ, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით პირად ექიმს.
- **დაისვენეთ და მიიღეთ საკმაო რაოდენობით სითხე**
- ექიმთან ვიზიტის საჭიროების შემთხვევაში, **წინასწარ დაურეკეთ ექიმს** და შეატყობინეთ, რომ გაქვთ ან შეიძლება გქონდეთ COVID-19
- **დაიფარეთ ცხვირი და პირი, ხველების და ცემინების დროს**

- **ხშირად დაიბანეთ ხელები** საპნით და თბილი წყლით, სულ მცირე, 20 წმ-ის მანძილზე ან დაიმუშავეთ ხელები, სულ მცირე, 60% ალკოჰოლის შემცველის სანიტაიზერით.
- შეძლებისდაგვარად, **დარჩით** იზოლირებულ ოთახში და **ოჯახის წევრებისგან მოშორებით**. შესაძლებლობის შემთხვევაში, ისარგებლეთ ცალკე აბაზანით. სხვებთან კონტაქტის საჭიროებისას, იხმარეთ სახის ნიღაბი.

არ გაუზიაროთ პირადი ნივთები ოჯახის სხვა წევრებს (მაგ.:ჭურჭელი, პირსახოცი, თეთრეული)

• **რა დანიშნულებას მომცემდით?**

1. სავარაუდოდ გაქვთ წითელი ქარი, რომელიც კანის მწვავე სტრეპტოკოკური დაავადებაა, უფრო მარტივად, რომ ვთქვათ კანის ბაქტერიული ინფექციაა. ამდენად, მნიშვნელოვანია, ანთებითი სიმპტომების მოხსნა.

გესაჭიროებათ **მკურნალობა შემდეგი მედიკამენტებით:**

- ამპისიდი 750 მგ 1 აბი 2ჯერ დღეში ჭამის შემდეგ 7-10 დღე, სიმპტომების გავლიდან კიდევ 2 დღე.
- ტკივილის ან მაღალი ტემპერატურის დროს - პარაცეტამოლის 0.5 გ-დან 1 გ-მდე 4-6 საათში ერთხელ, მაქსიმუმ 4 გ დღეში
- ფიზიოლოგიური ხსნარის საფენები დაიდეთ ადგილობრივად შეწითლებულ ადგილზე, ვცვალოთ 2 საათში ერთხელ.

II. ზოგადი რეკომენდაციები

2. უცილებელია მოძრაობის შეზღუდვა და კიდურის მოსვენება აწეულ მდგომარეობაში, რათა შემცირდეს ანთებითი შეშუპება და ტკივილი.
3. ჰიგიენური წესების ხშირი დაცვა
4. მიკროტრავმებისგან თავის არიდება (გაპარსვა, ფრჩხილის ღრმად მოჭრა, მოჭერილი ფეხსაცმლის ტარება და ა.შ)

• **მეშინია ჩემი მდგომარეობის გამო**

მიმართეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, თუ:

- თუ იგრძნობთ მდგომარეობის გაუარესებას
- გაგიჭირდებათ სუნთქვა;
- სხეულის ტემპერატურა აღემატება 38,3°C-ს, 24 საათის მანძილზე;
- გაბრუებული ხართ, ან ნათლად ვერ აზროვნებთ. შინ იყოლიეთ ახლობელი, რომელიც დაურეკავს თქვენს ექიმს ან სასწრაფოს.

• **თან სახლიდან ვერ გადავალ ცხელების კლინიკაში.**

- ამ ეტაპზე ნამდვილად, არ არის საჭირო, თქვენი გადასვლა ტესტირებისათვის სადმე - ცხელების კლინიკაში თუ ჰოსპიტალში.
- ნებისმიერ დროს შეგიძლია დაგვირეკოთ ჩვენ.
- კარგი იქნება თუკი დაუკავშირდებით თქვენი ოჯახის ექიმს და ჩაიტარებთ შემდგომ სადიაგნოსტიკო კვლევებს.
- მე, დაგირეკავთ 2-3 დღეში და დარწმუნებული ვარ, მდგომარეობა გაუმჯობესებული იქნება.

კონსულტაციის შეფასების ფორმა

კრიტერიუმი	აღწერილობა	ცუდი	ადეკვატური	ძალიან კარგი	შენიშვნა
1 საწყისი კავშირის დამყარება	1. წარადგინა საკუთარი თავი	1	2	3	
	2. გადაამოწმა პაციენტის სახელი და გვარი	1	2	3	
	3. პაციენტს მიმართავს სახელით	1	2	3	
	4. გაარკვია, თუ რის მიღება სურს პაციენტს კონსულტაციიდან	1	2	3	
2 ემპათიური დამოკიდებულება	5. ვერბალური ემპათია	1	2	3	
	6. უსმენს ყურადღებით	1	2	3	
	7. ადეკვატურად პასუხობს პაციენტის ემოციებს (ტირილი, ყვირილი, სიჩუმე)	1	2	3	
	8. აჩვენებს ინტერესს შესაბამისი კითხვების დასმით (იყენებს პაციენტის სიტყვებს)	1	2	3	
3 ინფორმაციის შეკრების ეფექტურობა	9. იყენებს ღია კითხვებს	1	2	3	
	10. პაციენტს აძლევს ინფორმაციის დასრულების საშუალებას (არ აწყვეტინებს)	1	2	3	
	11. აჯამებს/აზუსტებს მიღებულ ინფორმაციას	1	2	3	
4 პაციენტის მდგომარეობის რისკის ადეკვატური განსაზღვრა	12. ითვალისწინებს „წითელი დროშის“ ნიშნებს	1	2	3	
	13. ითვალისწინებს ქვეყანაში დამტკიცებული შესაძლო COVID-19 შემთხვევის კრიტერიუმებს	1	2	3	
	14. ითვალისწინებს მაღალი რისკის შემთხვევას	1	2	3	
	15. ითვალისწინებს ალტერნატიული დიაგნოზის შესაძლებლობას	1	2	3	
5 პაციენტთან გადაწყვეტილების გაზიარებული მიღება	16. აცნობს პაციენტს პრობლემის არსს	1	2	3	
	17. აცნობს გადაწყვეტილების არსებულ ვარიანტებს	1	2	3	

	18. ეკითხება პაციენტს რამდენად მისაღებია მისთვის შეთავაზებული ვერსია	1	2	3
6 პროფესიონალიზმი და კონფიდენციალობა	19. კომპეტენტურია საუბრისას	1	2	3
	20. ზრუნავს პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობაზე	1	2	3
7 შემდგომი სამოქმედო გეგმის განხილვა და კონსულტაციის დასრულება.	21. გამოკითხა პაციენტი ხომ არა აქვს დამატებითი შეკითხვები	1	2	3
	22. განუმარტა შემდგომი სამოქმედო გეგმა (სატელეფონო მონიტორინგის პერიოდულობა და ა. შ.)	1	2	3
8 კონსულტაციაზე დახარჯული დრო	23. საკმარისი (დააკონკრეტეთ---)	1	2	3
9 112-ისთვის შემთხვევის დაბრუნება	24. პაციენტის რისკი განისაზღვრა სწორად	1	2	3
	25. 112-ს შემთხვევა დაუბრუნდა სწორად	1	2	3

დანართი #3

პაციენტის კმაყოფილების შეფასების კითხვარი

პაციენტი: დიაგნოზი: სატელეფონო კონსულტაციის შედეგი:				
კითხვა	დიახ	არა	არ ვარ დარწმუნებული	შენიშვნა
1 ოჯახის ექიმი დაგიკავშირდათ დროულად?	2	0	1	დაკონკრეტდეს დრო
2 ექიმმა საკმარისი დრო დაგითმოთ, თქვენი პრობლემის/წუხილის მოსასმენად?	2	0	1	
3 გქონდათ, ექიმისთვის კითხვების დასმის საშუალება? ისაუბრეთ თქვენი ჩივილების მიზეზებზე?	2	0	1	
4 რა რჩევა მოგცათ ექიმმა COVID-19-თან დაკავშირებით?	2	0	1	დაკონკრეტდეს
5 გაიგეთ, როგორ შეგიძლიათ მართოთ თქვენი დაავადება?	2	0	1	დაკონკრეტდეს

6	იცით, როგორ უნდა მოიქცეთ, თუ სიმპტომები გაგიუარესდათ? რას ნიშნავს გაუარესება, თუ ავიხსნათ?	2	0	1	
7	დაგინიშნათ თუ არა მკურნალობა? რა რჩევები მოგცათ მკურნალობასთან დაკავშირებით?	2	0	1	
8	განახორციელა ექიმმა თქვენთან განმეორებითი სატელეფონო მონიტორინგი? ან გესაუბრათ სატელეფონო მონიტორინგის სქემაზე?	2	0	1	დაკონკრეტდეს რამდენ ხანში

კონსულტაციის შეფასების შედეგები

კრიტერიუმი	აღწერილობა	ცული	ადეკვატური	მალიან კარგი	#1	#2	#3	#4	#5	#6	#7	#8	#9	#10	#11	საშუალო
საწყისი კავშირის დამყარება	წარადგინა საკუთარი თავი	1	2	3	1.4	1.2	1.8	1.4	1.4	1.5	2.3	1.6	1.8	1.4	1.6	1.6
	გადაამოწმა პაციენტის სახელი/ გვარი/ასაკი	1	2	3	1.5	1.6	1.9	1.8	1.8	1.8	2.6	2.4	2.6	2.2	2.0	2.0
	პაციენტს მიმართავს სახელით	1	2	3	1.8	1.4	2.1	1.9	1.7	2.1	2.4	1.9	2.7	2.4	2.0	2.0
	გარკვევა რის მიღება სურს პაციენტს კონსულტაციიდან	1	2	3	1.6	1.1	1.5	1.7	1.4	1.2	2	1.3	2	1.6	1.5	1.5
ემპათიური დამოკიდებულება	ვერბალური ემპათია	1	2	3	1.6	1.3	1.5	1.7	1.4	1.5	1.9	1.9	2	2.4	1.7	1.7
	უსმენს ყურადღებით	1	2	3	1.8	1.4	2.3	2	2.1	1.4	2.3	2	2.4	2.4	2.0	2.0
	ადეკვატურად პასუხობს პაციენტის ემოციებს (ტირილი, ყვირილი, სიჩუმე)	1	2	3	1.8	1.3	1.5	1.9	1.2	1.3	2.1	1.6	2	2.4	1.7	1.7
	აჩვენებს ინტერესს შესაბამისი კითხვების დასმით (იყენებს პაციენტის სიტყვებს)	1	2	3	1.8	1.3	1.4	1.9	1.8	1.4	2	1.8	2.4	2.4	1.8	1.8
ინფორმაციის შეკრების ეფექტურობა	იყენებს ღია კითხვებს	1	2	3	1.9	1.1	1.3	1.8	1.5	1.3	1.8	1.6	2.1	2.3	1.7	1.7
	პაციენტს აძლევს ინფორმაციის დასრულების საშუალებას (არ აწყვეტინებს)	1	2	3	1.9	1.3	2.3	1.9	2	1.4	2.3	1.9	2.6	2.3	2.0	2.0
	აჯამებს/აზუსტებს მიღებულ ინფორმაციას	1	2	3	1.8	1.2	1.3	1.9	1.3	1.5	1.9	1.4	2.4	2.4	1.7	1.7
პაციენტის მდგომარეობის	ითვალისწინებს „წითელი დროშის“ ნიშნებს	1	2	3	1.7	1.3	1.4	1.7	1.3	1.5	1.6	1.4	1.7	1.8	1.5	1.5

რისკის ადეკვატური განსაზღვრა	ითვალისწინებს ქვეყანაში დამტკიცებული შესაძლო COVID-19 შემთხვევის კრიტერიუმებს	1	2	3	1.6	1.5	1.5	1.4	1.4	1.6	2.1	1.6	1.7	1.5	1.6	1.6
	ითვალისწინებს მაღალი რისკის შემთხვევას	1	2	3	1.6	1.3	1.6	1.4	1.6	1.5	1.4	1.4	1.6	1.7	1.5	1.5
	ითვალისწინებს ალტერნატიული დიაგნოზის შესაძლებლობას	1	2	3	1.7	1.4	1.6	1.5	1.5	1.4	1.4	1.3	1.7	1.5	1.5	1.5
პაციენტთან გადაწყვეტილების გაზიარებული მიღება	აცნობს პაციენტს პრობლემის არსს	1	2	3	1.8	1.2	1.5	1.5	1.4	1.2	1.4	1.5	1.7	1.8	1.5	1.5
	აცნობს გადაწყვეტილების არსებულ ვარიანტებს	1	2	3	1.8	1.2	1.4	1.4	1.6	1.3	1.3	1.8	1.9	1.7	1.5	1.5
	ეკითხება პაციენტს რამდენად მისაღებია მისთვის შეთავაზებული ვერსია	1	2	3	1.6	1.2	1.1	1.7	1.5	1.3	1.3	1.4	1.8	1.6	1.5	1.5
პროფესიონალიზმი და კონფიდენციალობა	კომპეტენტურია საუბრისას	1	2	3	1.8	1.3	1.6	1.4	1.7	1.3	1.3	1.5	2.2	1.7	1.6	1.6
	ზრუნავს პირადი ინფორმაციის ხელშეუხებლობაზე	1	2	3	1.4	1.1	1.1	1.3	0.9	1.1	1.9	1.5	1.3	1.7	1.3	1.3
შემდგომი სამოქმედო გეგმის განხილვა და კონსულტაციის დასრულება.	გამოკითხა პაციენტი ხომ არა აქვს დამატებითი შეკითხვები	1	2	3	1.5	1.2	1.3	1.5	1.1	1.3	1.9	1.4	1.2	1.5	1.4	1.4
	განუმარტა შემდგომი სამოქმედო გეგმა (სატელეფონო მონიტორინგის პერიოდულობა და ა. შ.)	1	2	3	1.7	1.5	1.5	1.4	1.5	1.6	1.6	1.8	2.4	1.7	1.7	1.7
კონსულტაციაზე დახარჯული დრო	საკმარისი (დააკონკრეტეთ--)	1	2	3	2.3	1.5	1.5	1.6	1.7	1.6	1.6	1.8	1.5	1.7	1.7	1.7
	პაციენტის რისკი განისაზღვრა სწორად	1	2	3	1.6	1.2	1	1.3	1.4	1.3	1.5	1.4	1.7	1.2	1.4	1.4

112-ისთვის შემთხვევის დაბრუნება	112-ს შემთხვევა დაუბრუნდა სწორად	1	2	3	3	2.8	3	2.7	2.7	2.4	3	2.4	2.8	1.6	2.6	2.6
ჯამური ქულა		25	50	75	44	33.9	40	41.7	38.9	36.8	46.9	41.6	50.2	46.9	42	42.1

	კლინიკა #1	კლინიკა #2	კლინიკა #3	კლინიკა #4	კლინიკა #5	კლინიკა #6	კლინიკა #7	კლინიკა #8	კლინიკა #1	კლინიკა #9	კლინიკა #10	კლინიკა #11	კლინიკა #12	კლინიკა #13	კლინიკა #14	კლინიკა #15	საშუალო
კონსულტაციის საშუალო დრო (წთ-ში)	5.5	2.00	7.9	7.00	10.5	9.9	4.00	6	5.1	5.7	15.00	6.00	5.00	7.7	5.8	9.9	7.1

პაციენტის კმაყოფილების შეფასების შედეგები

კითხვა	დიახ	არა	არ ვარ დარწმუნებული	#1	#2	#3	#4	#5	#6	#7	#8	#9	#10	#11	#12	#13	#14	#15	საშუალო
ოჯახის ექიმი დაგიკავშირდათ დროულად?	2	0	1	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2.0
ექიმმა საკმარისი დრო დაგითმოთ, თქვენი პრობლემის/წუხილის მოსასმენად?	2	0	1	1	1	1	1	1	2	1	1	1	2	0	2	1	1	1	1.1
გქონდათ, ექიმისთვის კითხვების დასმის საშუალება? ისაუბრეთ თქვენი ჩივილების მიზეზებზე?	2	0	1	0	0	0	2	0	2	2	1	0	1	2	2	2	2	2	1.2
რა რჩევა მოგცათ ექიმმა COVID-19-თან დაკავშირებით?	2	0	1	0	0	0	0	0	2	0	1	1	1	0	1	0	0	0	0.4
გაიგეთ, როგორ შეგიძლიათ მართოდ თქვენი დაავადება?	2	0	1	0	0	0	0	0	2	0	2	0	2	0	0	0	0	0	0.4
იცით, როგორ უნდა მოიქცეთ, თუ სიმპტომები გაგიუარესდათ? რას ნიშნავს გაუარესება, თუ აგიხსნათ?	2	0	1	0	2	0	2	0	2	0	1	0	0	2	0	0	0	0	0.6
დაგინიშნათ თუ არა მკურნალობა? რა რჩევები მოგცათ მკურნალობასთან დაკავშირებით?	2	0	1	0	0	0	0	0	2	0	2	0	1	2	2	0	0	0	0.7
განახორციელა ექიმმა თქვენთან განმეორებითი სატელეფონო მონიტორინგი?	2	0	1	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2	2.0